

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

ვახტანგ დავითაშვილი

ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული

პროგრამის მიმართ

ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული შეიარაღების განვითარება, ათწლეულების მანძილზე აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ერთ-ერთ მთავარ უსაფრთხოების გამოწვევას წარმოადგენს, რომლის მოგვარებაშიც აქტიურად არიან ჩართულები აშშ, ჩინეთი, რუსეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა. ბევრი მცდელობის მიუხედავად, საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩება. ნაშრომი ეძღვნება ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღების პროცესში ჩინეთის მონაწილეობას იმის დასადგენად, თუ რატომ უწყობს ხელს ჩინეთი ჩრდილოეთ კორეას, განავითაროს ბირთვული იარაღი. ნაშრომის ანალიზი ხდება სამი ძირითადი ცვლადით: 1) ჩინეთის ინტერესები აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. 2) ჩინეთის შიში, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულმა განიარაღებამ შესაძლოა ამ ქვეყნის მმართველი რეჟიმის ჩამოშლა გამოიწვიოს. 3) ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ. ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობების დინამიკისა და აღმოსავლეთ აზიის რეგიონში ჩინეთის ინტერესების კონტექსტში ნაშრომში განხილულია ჩრდილოეთ კორეის 2003-2019 წლების ბირთვული კრიზისები, ჩინეთის რეაქცია და მის მიერ მიღებული ზომები. ბირთვულ კრიზისებზე ჩინეთის რეაქციის ანალიზისთვის გამოყენებულია ჩინეთის „სამი არას“ პოლიტიკა კორეის ნახევარკუნძულის მიმართ, კერძოდ: არა ომს, არა ქაოსს, არა ბირთვულ იარაღს“. კვლევამ აჩვენა, რომ ჩინეთისთვის „არა ომს“ და „არა ქაოსს“ უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე „არა ბირთვულ იარაღს“. ჩინეთის მიერ ჩრდილოეთ კორეის დახმარების მიზანი კი აშშ-სგან მომდინარე საფრთხის დაბალანსებაა. ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის მჭიდრო ალიანსი, ისევე როგორც ჩინეთის მხრიდან ძლიერი ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა, უპირველეს ყოვლისა, არ არის დაფუძნებული იდეოლოგიაზე, არამედ ორმხრივ ინტერესებზე, რომლებიც მიმართულია რეგიონში აშშ-ს საფრთხის დაბალანსებაზე. ჩინეთის აღქმით, ჩრდილოეთ კორეის განიარაღების პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს მოკავშირე რეჟიმის ჩამოშლა და, შესაბამისად, გაზარდოს აშშ-ის გავლენა რეგიონში. აქედან გამომდინარე, ჩინეთი სურს კორეის ნახევარკუნძულზე სტატუს-კვოს შენარჩუნება მაშინაც კი, როდესაც ეს ბირთვული იარაღით შეიარაღებული ჩრდილოეთ კორეის მეზობლად ყოფნის რისკს ატარებს.

Annotation

The development of nuclear weapons by North Korea has been one of the main security challenges in the East Asian region for decades, and the USA, China, Russia, Japan, and South Korea are actively involved in resolving it. Despite many efforts, the issue remains unsolved. The following paper „China’s policy towards North Korea’s Nuclear Programme“ by Vakhtang Davitashvili, aims to examine China's participation in North Korea's nuclear disarmament process and determine why China is helping North Korea develop nuclear weapons. Three main variables through which the paper is analyzed are: 1) China’s interests in East Asian region 2) China’s fear that the process of denuclearization of North Korea can lead to collapse of North Korea’s regime 3) China’s policy towards North Korea’s Nuclear programme. In the context of the dynamics of China-North Korea relations and China's interests in the East Asian region, the paper discusses North Korea's nuclear crises from 2003 to 2019 and China's response and measures taken. To analyze China's reaction to the nuclear crises, the paper looks into China's policy of the "three nos" towards the Korean Peninsula: no war, no chaos, and no nuclear weapons. The research shows that China prioritizes "no war" and "no chaos" over "no nuclear weapons“. The strong alliance between China and North Korea, as well as China's robust economic and political support, is not primarily based on ideology but rather on mutual interests aimed at balancing the US threat in the region. China's rationale lies in the belief that the denuclearization process in North Korea could potentially result in the eventual collapse of the allied regime, consequently increasing US influence in the region. Therefore, China opts to maintain the status quo on the Korean peninsula, even if it entails the risk of having a nuclear-armed North Korea as its neighbor.

სარჩევი

შესავალი	6
ა) საკითხის აქტუალობა.....	6
ბ) საკვლევითი კითხვა და ჰიპოთეზა.....	7
გ) ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაცია.....	8
დ) კვლევის მიზანი და ამოცანები.....	10
ე) თეორიული ჩარჩო - „საფრთხის ბალანსის თეორია“.....	10
ვ) მეთოდოლოგია.....	12
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	14
თავი II. ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის ისტორია და ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობები	21
2.1. ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარების მოკლე ისტორია.....	21
2.2. ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული კრიზისები 2003-2019 წლებში და ჩინეთის რეაქცია.....	25
თავი III. ჩინეთის ინტერესები აღმოსავლეთ აზიის რეგიონში	35
3.1. მშვიდობიანი აღზევება და რეგიონული თანამშრომლობა.....	36
3.2. ტაივანის საკითხის მოგვარება.....	41
3.3. კორეის ნახევარკუნძულის მნიშვნელობა ჩინეთის რეგიონული ინტერესებისთვის.....	42
თავი IV. ჩინეთის შიში	45
4.1. არა ომს.....	46
4.2. არა ქაოსს	49
4.3. არა ბირთვულ იარაღს	52
თავი V. ჩინეთის მიერ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის ხელშეწყობა	55
5.1. 2003 წლის კრიზისი.....	55
5.2. ბირთვული იარაღის პირველი გამოცდა ჩრდილოეთ კორეაში 2006 წელს	56
5.3. ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდა 2009 და 2013 წლებში.....	57
5.4. 2016-2019 წლის ბირთვული კრიზისი.....	60

5.5. ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ვაჭრობა და გაეროს სანქციების დარღვევა	62
თავი VI. ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის მიმართ საფრთხის ბალანსის თეორიის ჭრილში	68
დასკვნა.....	73
ბიბლიოგრაფია.....	76

შესავალი

ა) საკითხის აქტუალობა

ნაშრომი შეეხება ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამას და მისდამი ჩინეთის დამოკიდებულებისა და პოლიტიკის შესწავლას. 2003 წელს, ჩრდილოეთ კორეამ დატოვა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება და აღიარა ქვეყნის მთავარი ბირთვული რეაქტორის, იონგბიონის განახლება (The Guardian, 2003). ამის შემდეგ, დღემდე, ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღი ექვსჯერ გამოსცა და მისი ბირთვული პროგრამის შეჩერების საკითხი აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

დრომ აჩვენა, რომ ვერც გაეროსა და აშშ-ის მიერ დაწესებულმა სანქციებმა და ვერც მოლაპარაკებებმა აიძულეს ჩრდილოეთ კორეა, რომ შეეჩერებინა ბირთვული პროგრამის განვითარება. ჩრდილოეთ კორეასთან შეთანხმების წარუმატებლობებს ხშირად ჩინეთს უკავშირებენ.

წლების მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ დონეზე ჩინეთი აცხადებს, რომ კორეის ნახევარკუნძულის ბირთვული განიარაღება მის ინტერესებში შედის, ჩინეთი რჩება ჩრდილოეთ კორეის მთავარ სავაჭრო პარტნიორად, კერძოდ, ჩრდილოეთ კორეის მთლიანი ვაჭრობის 90% ჩინეთზე მოდის. ამასთან ერთად, გაეროს უშიშროების საბჭოს გამოძიების მიხედვით დგინდება, რომ ჩინეთი ეხმარება ჩრდილოეთ კორეას სანქციების თავიდან არიდებაში.

საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის პრობლემის მასშტაბურობა. ეს საკითხი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს როგორც მედიაში, ასევე სამეცნიერო წრეში. ამავდროულად, 2000-იანი წლებიდან დაწყებული მის მოგვარებაში აღმოსავლეთ აზიის მეტნაკლებად ყველა სახელმწიფო იყო ჩართული, ვინაიდან ის წარმოადგენს, როგორც რეგიონულ, ასევე გლობალურ პრობლემას და სამყაროში ბირთვული შეიარაღების გავრცელების საფრთხეს ქმნის. განსაკუთრებით

საინტერესოა, რომ უკვე მრავალი წლის მანძილზე მოლაპარაკებებისა და ეკონომიკური სანქციების მეშვეობით არაერთი მცდელობა იყო ამ საკითხის მოგვარების, თუმცა, საბოლოოდ, ყველა ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და 2016-2019 წლებში ოფიციალურ განცხადებებს თუ დავეყრდნობით, ვითარება ბირთვული ომის ზღვარზე იყო მისული. ამასთან ერთად, აღნიშნული საკითხის მოგვარების პროცესში მთავარ გარე აქტორებს ორი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, აშშ და ჩინეთი წარმოადგენენ, ხოლო რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება თქმა, რომ ის კიდევ დიდხანს დარჩება საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.

ამრიგად, მნიშვნელოვანია კვლევის გაგრძელება იმის დასადგენად, თუ რატომ რჩება ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის საკითხი გადაუჭრელ პრობლემად, მაშინ, როდესაც მსოფლიოს ორ უძლიერეს სახელმწიფოს ოფიციალურად აქვს მისი მოგვარება მიზნად დასახული.

ბ) საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩინეთის ლიდერებსა და მაღალჩინოსნებს არაერთხელ საჯაროდ დაუფიქსირებიათ, რომ კორეის ნახევარკუნძულზე ბირთვული გაუვრცელებლობა ჩინეთისთვის მნიშვნელოვან რეგიონულ ინტერესს წარმოადგენს. მეორე მხრივ, ჩინეთი ჩრდილოეთ კორეის მთავარი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური მოკავშირე სახელმწიფოა. ამრიგად, ერთი შეხედვით, ჩინეთს უნდა შესწევდეს საკმარისი ძალა, რომ აიძულოს ჩრდილოეთ კორეა, უარი თქვას ბირთვული პროგრამის განვითარებაზე. ამის საპირისპიროდ, ჩრდილოეთ კორეა ჩინეთთან ვაჭრობით მოიპოვებს ბირთვული პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ფინანსურ და მატერიალურ რესურსს.

შესაბამისად, ნაშრომის საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში:

რატომ უწყობს ხელს ჩინეთი ჩრდილოეთ კორეას ბირთვული პროგრამის განვითარებაში?

ნაშრომის **ჰიპოთეზის** მიხედვით, ჩინეთი ხელს უწყობს ჩრდილოეთ კორეას ბირთვული პროგრამის განვითარებაში, რადგან შიშობს, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღება ქმნის რეჟიმის ჩამოშლის საფრთხეს, რაც გამოიწვევს ჩინეთის გავლენის შემცირებას და აშშ-ის გავლენის ზრდას აღმოსავლეთ აზიის რეგიონში.

გ) ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაცია

დამოუკიდებელი ცვლადი არის ჩინეთის ინტერესები აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, კერძოდ, რეგიონში საკუთარი გავლენის შენარჩუნება და აშშ-ის გავლენის ზრდის შეკავება

შუალედური ცვლადია ჩინეთის შიში, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულმა განიარაღებამ შესაძლოა ამ ქვეყნის მმართველი რეჟიმის ჩამოშლა გამოიწვიოს.

დამოკიდებული ცვლადი კი არის ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ.

ნაშრომში შერჩეული **დამოუკიდებელი ცვლადის** მიხედვით, აღმოსავლეთ აზიის რეგიონში ჩინეთის ერთ-ერთი მთავარი ინტერესია საკუთარი გავლენის ზრდა და აშშ-ის გავლენის შესუსტება. ცივი ომის დასრულებიდან მოყოლებული აშშ და ჩინეთი რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად მთავარი კონკურენტები იყვნენ. ბოლო პერიოდში, სი ძინპინმა, რომელმაც უკვე მესამე ვადით გაიმყარა ქვეყნის ლიდერის პოზიცია, არაერთხელ დაადასტურა ჩინეთის მზარდი ამბიცია ნებისმიერი გზით გააძლიეროს საკუთარი გავლენა აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, კერძოდ ტაივანის ჩინეთთან მიერთებითა და სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვებში გავლენის გაზრდით. უზრუნველყოს, რომ აშშ-ის გავლენა რეგიონში არ გაიზარდოს და შენარჩუნდეს სტაბილურობა, რაც მნიშვნელოვანია ჩინეთის ეკონომიკური ინტერესებისთვის. ჩინეთის ამ მიზნების მიღწევის ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია კორეის ნახევარკუნძული, რომლის ჩრდილოეთ ნაწილსაც ჩინეთი წლების მანძილზე იყენებს სატელიტ სახელმწიფოდ აშშ-ის წინააღმდეგ. შესაბამისად, კორეის ნახევარკუნძულის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ მისი რეგიონული ინტერესებით არის განპირობებული. აშშ-ის გავლენის გაზრდა რეგიონში შეამცირებს ჩინეთის გავლენას და მისი პოზიციების შესუსტებას. აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პოტენციალი არის გაცილებით ნაკლები საფრთხე ჩინეთისთვის, ვიდრე აშშ-ის გავლენის გაზრდა რეგიონში და ჩინეთის შესუსტება. შესაბამისად, ჩინეთისათვის ხელსაყრელია სტატუს-კვოს შენარჩუნება კორეის ნახევარკუნძულზე, რისი ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ჩრდილოეთ კორეის ბირთვული არსენალია.

შუალედური ცვლადის მიხედვით, ჩინეთის ზოგადი ინტერესების გარდა აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, ასევე გასათვალისწინებელია კონკრეტულად ის შიში, რაც ჩინეთისთვის დაკავშირებულია ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარებასთან. როგორც უკვე ვახსენეთ, ჩინეთის რეგიონული ინტერესებისთვის მნიშვნელოვანია კორეის ნახევარკუნძულზე სტატუს-კვოს შენარჩუნება. ჩინეთის მხრიდან ბირთვული განიარაღების მიზნით ჩრდილოეთ კორეაზე მაქსიმალურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ზეწოლამ შესაძლოა ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის ჩამოშლის საფრთხე გაზარდოს. ჩინეთის ისტორიული სატელიტი რეჟიმის ჩამოშლა კი საფრთხეს შეუქმნის ჩინეთის რეგიონულ ინტერესებს: სამხრეთ და აღმოსავლეთ ზღვების კონტროლითა და ტაივანთან გაერთიანებით გაზარდოს საკუთარი და შეასუსტოს აშშ-ის გავლენა რეგიონში.

ამ მხრივ, **დამოკიდებულ ცვლადად** შერჩეულია ჩინეთის მიერ წარმოებული პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ, რომელიც გამომდინარეობს ჩინეთის ინტერესებიდან და შიშიდან. ჩინეთი ცდილობს სიტუაციის საკუთარ ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებას ისე, რომ თავიდან აირიდოს რეგიონში ომი და ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის ჩამოშლა. ამისთვის, ჩინეთის სტრატეგია და პოლიტიკური მოქმედებები ხშირ შემთხვევაში დამაბნეველია და ის ერთგვარ „ორმაგ თამაშს“ წარმოადგენს. ერთი მხრივ, ის საერთაშორისო დონეზე ბირთვულ განიარაღების

საკითხზე მხარს უჭერს ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, რათა ჩრდილოეთ კორეა მოლაპარაკებების მაგიდასთან მიიყვანოს და ამით თავიდან აირიდოს ნახევარკუნძულზე სამხედრო დაპირისპირება და რეჟიმის ჩამოშლა, მეორე მხრივ, ვაჭრობითა და სანქციებისგან თავის არიდებაში დახმარებით უზრუნველყოს ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის შენარჩუნება.

დ) კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ჩინეთის მიერ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარების ხელშეწყობის მოტივაციის დადგენა.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გადაიჭრას შემდეგი კონკრეტული **ამოცანები**:

- ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობის ანალიზი.
- ჩინეთის რეგიონული ინტერესებისა და ამბიციების განსაზღვრა.
- ჩინეთის ინტერესებიდან გამომდინარე ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მისი შესაძლო შიშის დადგენა.
- ჩინეთის პოლიტიკის ანალიზი ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ 2003-2019 წლებში და ჩინეთის შესაძლო შიშსა და მის პოლიტიკას შორის კავშირის დადგენა.

ე) თეორიული ჩარჩო - „საფრთხის ბალანსის თეორია“

ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობისა და ჩინეთის მხრიდან ჩრდილოეთ კორეისთვის ხელშეწყობის მიზეზების დასადგენად ნაშრომში გამოყენებულია სტივენ უოლტის საფრთხის ბალანსის თეორია. აღნიშნული თეორია არის ძალის ბალანსის თეორიის მოდიფიკაცია და ერთმანეთისგან ანცაკლევებს ძალას და საფრთხეს. იმ დროს, როდესაც ძალის ბალანსის თეორია ამტკიცებს, რომ ალიანსები იქმნება ისეთი სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთა ძალაც გაცილებით უფრო დიდია ვიდრე სხვების, უოლტის მიხედვით, დაბალანსებისას მნიშვნელოვანია არა სახელმწიფოს ძალა, არამედ მისგან მომდინარე საფრთხე. შესაბამისად, საფრთხის ბალანსის თეორიის მიხედვით, ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები გადასარჩენად მიმართავენ ან მიტმასნებას, ან დაბალანსებას. უოლტის ანალიზის მიხედვით, სახელმწიფოები უფრო ხშირად დაბალანსებას მიმართავენ და ეს ხდება მაშინ, როდესაც კონკრეტული უცხო ძალისგან მომდინარე საფრთხე არსებობს.

უოლტი საფრთხეს აღწერს შემდეგი ფაქტორებით: 1) აგრეგატული ძალა - სახელმწიფოს მთლიანი რესურსები (მოსახლეობა, ინდუსტრიული, სამხედრო და ტექნოლოგიური შესაძლებლობები. 2) გეოგრაფიული სიახლოვე. უოლტის აზრით, რაც უფრო შორს არის სახელმწიფო, მით ნაკლებია მისი ძალის მოხდენის პოტენციალი, ხოლო რაც უფრო ახლოა სახელმწიფო, უფრო დიდია მისგან მომდინარე საფრთხეც. 3) თავდასხმითი ძალა. რაც უფრო დიდი თავდასხმითი შესაძლებლობები აქვს სახელმწიფოს, მით უფრო მეტი შანსია, რომ მის დასაბალანსებლად შეიქმნას ალიანსი. 4) აგრესიული ზრახვები. თუ სახელმწიფო აგრესიულად აღიქმება სხვებისგან, მეტი შანსია, მის გასანეიტრალებლად შეიქმნას ალიანსი. უოლტის მიხედვით, სისტემაში, სადაც საფრთხის დასაბალანსებლად ალიანსები იქმნება, სახელმწიფოები ცდილობენ არ მიმართონ აგრესიულ პოლიტიკას, რათა ისინი არ იყვნენ აღქმულები საფრთხედ და მათ წინააღმდეგ დაბალანსების სურვილი არ გაუჩნდეს არავის (Walt, 1987). საფრთხის ფაქტორი ასევე უარყოფს მოსაზრებას, რომ სახელმწიფოებს შორის ალიანსების შექმნისას იდეოლოგიურ მსგავსება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. უოლტის მიხედვით, რაც უფრო დიდია მომდინარე საფრთხე, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიურ მსგავსებას,

რადგან მთავარი მიზანი საფრთხის დაბალანსებაა, ხოლო იდეოლოგიური მსგავსება გაცილებით უფრო პრიორიტეტული ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოები ალიანსებს ქმნიან ისეთ პირობებში, სადაც მცირე საფრთხე არსებობს. ალიანსის შექმნის მიზეზი ვერ იქნება ეკონომიკური და სამხედრო დახმარება, არამედ ის მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც სახელმწიფოები საერთო ინტერესებს იზიარებენ და მათ შორის გარკვეული ტიპის ალიანსის ჩამოყალიბებულია. ამრიგად, დახმარებას შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ალიანსის სიძლიერეზე, თუმცა ის ვერ იქნება ალიანსის შექმნის პირობა. ვინაიდან ნაშრომში განხილულია ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობები და მთავარ საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ჩინეთის მიერ ჩრდილოეთ კორეის ხელშეწყობა, განავითაროს ბირთვული პროგრამა, აღნიშნული მოვლენა განხილული იქნება საფრთხის ბალანსის თეორიის კონტექსტში.

ვ) მეთოდოლოგია

კვლევის მიზნის მისაღწევად ნაშრომში გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდები. კონტენტ ანალიზის მეშვეობით მოხდება ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის დროის სხვადასხვა ეტაპზე ურთიერთობის ტიპების განსაზღვრა. ეს აუცილებელია იმ დიდი სურათის დასანახად, რაც ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის ნებისმიერ საკითხში თანამშრომლობისას გასათვალისწინებელია, მათ შორის ბირთვული პროგრამის საკითხის მიმართაც. ასევე, ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობის ევოლუციისა და სხვადასხვა პერიოდში ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ ჩინეთის დამოკიდებულების შესასწავლად გამოყენებული იქნება დისკურს ანალიზი, რითიც მოხდება ჩრდილოეთ კორეის, ჩინეთისა და ასევე აშშ-ის, როგორც პრობლემის განუყოფელი აქტორის ლიდერების განცხადებების შესწავლა. ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორი დამოკიდებულება იყო და არის დომინანტური ჩინეთის პოლიტიკურ ელიტაში ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ჩინური მედიის შესწავლა.

როგორც კვლევის ამოცანებშია ნახსენები, მნიშვნელოვანია ჩინეთის პოლიტიკის შესწავლა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ. ამისთვის, შედარებით ანალიზის გამოყენებით შევისწავლით ჩინეთის მიერ მიღებულ ზომებს 2003 წელს, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ დატოვა ბირთვული გაუვრცელებლობის შეთანხმება და ასევე 2006, 2009, 2013, 2016-2019 წლებში, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ გამოსცადა ბირთვული იარაღი.

ასევე, აუცილებელია ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის წარმოშობისა და განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების განხილვა. კერძოდ, რა მიზნები ამოძრავებდათ ლიდერებს, კიმ ირ სენს, კიმ ჩენ ირსა და ახლა უკვე კიმ ჩენ ინს ბირთვული პროგრამის განვითარებისას და რა უსაფრთხოების გამოწვევებს ხედავენ. ამით შესაძლებელი იქნება ნათლად დანახვა, როგორ ხედავს ჩრდილოეთ კორეის რეჟიმი მის გარშემო უსაფრთხოების მდგომარეობას და თუ არსებობს ბირთვული შეიარაღების რაიმე ალტერნატივა, რაც მას ამ უსაფრთხოების ინტერესებს დაუკმაყოფილებს.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი თემის ირგვლივ არც თუ მცირერიცხოვანი ლიტერატურა მოიძებნება. კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, მიმოვიხილავთ ლიტერატურას ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასა, ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობაზე და ჩინეთის რეგიონულ ინტერესებზე. ასევე, ლიტერატურას, რომელიც დაგვეხმარება ჩინეთის შიშის დადგენაზე და საბოლოოდ, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ ჩინეთის პოლიტიკაზე.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარებაზე გამოვარჩევთ სუნგ ვუკ ნამის წიგნს „ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღი და კორეის ნახევარკუნძულის გაერთიანება“ (Nam – North Korean Nuclear Weapon and Reunification of the Korean Peninsula. 2019). ავტორი მთავარ აქცენტს აკეთებს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის შექმნის ამბიციებზე. ნაშრომში კარგად არის აღწერილი ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შეჩერების ყველა მცდელობა. გამომდინარე იქიდან, რომ წიგნი 2019 წელს არის გამოცემული, მის ბოლო ნაწილში აქცენტირება ხდება 2018-2019 წლებში აშშ-ს პრეზიდენტ დონალდ ტრამპსა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინს შორის მოლაპარაკებებზე, რაც მორიგი წარუმატებლობით დასრულდა. ავტორი ცდილობს დააკავშიროს ბირთვულ განიარაღებისა და ორი კორეის გაერთიანების საკითხი ერთმანეთთან და მსჯელობს კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ბირთვული განიარაღების გარეშე ორი კორეის გაერთიანება. (NamSung-Wook, 2019). მიუხედავად იმისა, რომ წიგნში განხილულია შორეული აღმოსავლეთის რეგიონული აქტორები, როგორც არის რუსეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და ჩინეთი, ავტორი ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღების პროცესში განსაკუთრებულ აქცენტს აშშ-ს როლზე აკეთებს. შესაბამისად, ამ წიგნში მოცემული სიღრმისეული ინფორმაციის გამოყენებით, კვლევაში გაკეთდება აქცენტი იმაზე, თუ რატომ

არის აშშ-სთან ერთად ჩინეთის როლი მნიშვნელოვანი კორეის ნახევარკუნძულზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას.

ჩრდილოეთ კორეისა და დიდი ძალების ურთიერთობის ისტორიული ანალიზისთვის საჭიროდ მივიჩნიეთ დონ ობერდორფერისა და რობერტ კარლინის წიგნის „ორი კორეა“ (Oberdorfer, Carlin – The Two Koreas. 2013) განხილვა. ნაშრომი წარმოადგენს ჩრდილოეთ კორეასა და სამხრეთ კორეას შორის ურთიერთობის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ძირითადად ორ კორეას შორის ურთიერთობას ეთმობა, ყურადღება გამახვილებულია ორი კორეის ურთიერთობაზე დიდ ძალებთან, როგორც არის აშშ, ჩინეთი და ცივი ომის დასრულებამდე საბჭოთა კავშირი. წიგნში ავტორი აღწერს ჩრდილოეთ კორეის პირველი ლიდერის, კიმ ირ სენის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას, რითიც ის საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის გავლენისთვის კონკურენციას (OberdorferDon & RobertCarlin, The Two Koreas, 2014). წიგნში მოყვანილი ისტორიული ანალიზის მისადაგება შესაძლებელია ჩრდილოეთ კორეის მოქმედ პოლიტიკასთან აშშ-ჩინეთის კონკურენციის პირობებში იმის საჩვენებლად, თუ როგორ იყენებს ჩრდილოეთ კორეა დღემდე ბირთვულ შეიარაღებას დიდ ძალებთან პოლიტიკური ვაჭრობის ინსტრუმენტად. წიგნი „ორი კორეა“ ასევე გვთავაზობს ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობის ევოლუციას, რისი გაანალიზებაც აუცილებელია ჩინეთის დღევანდელი დამოკიდებულების დასანახად ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ.

ჰიონგ კიუ კიმი თავის სტატიაში „ჩრდილოეთ კორეის მიმართ ჩინეთის განვითარებადი პოლიტიკა“ (Kim – China’s Evolving North Korea Policy, 2020) აკეთებს ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობების ანალიზს. კიმი ჩინეთის თვითაღქმის ოთხ მთავარ პერიოდს გამოყოფს: ტრადიციული გეოპოლიტიკის პერიოდი 1993-2002 (Traditional Geopolitics school), განვითარებადი ქვეყნის პერიოდი 2003-2012 (Developing Country school), აღმოცენებად დიდ სახელმწიფოს პერიოდი 2010-2017 (Newly rising great power school) და დიდი სახელმწიფოს პერიოდი (Great power school) 2018-დან დღემდე. ასევე, კიმი აღწერს აღნიშნული ოთხი პერიოდის დროს ჩინეთის დამოკიდებულებას ჩრდილოეთ

კორეის მიმართ და ასკვნის, რომ სი ძინპინის მმართველობის დროს ჩინეთსა ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობა აღარ არის იდეოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებული, მას დროინდელი „კბილებისა და ტუჩების“ (lips and teeth) ურთიერთობა, არამედ ჩინეთი ჩრდილოეთ კორეას აღიქვამს, როგორც პრობლემების შემქმნელს, მეორე მხრივ კი, როგორც სტრატეგიულ ბერკეტს (Kim, 2020). კიმის პროგნოზის მიხედვით, დროდადრო ჩინეთში გაიზრდება ჩრდილოეთ კორეის, როგორც „ზედმეტი ტვირთის“ აღქმა. ავტორი აღნიშნავს, რომ ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობები დიდწილად დამოკიდებულია აშშ-ჩინეთის კონკურენციაზე, თუმცა, ჩინეთის მიერ ჩრდილოეთ კორეის მიმართ მკაცრი სანქციების მხარდაჭერის მიზეზად ასახელებს სი ძინპინის პოლიტიკას და მისი მმართველობის დროს დომინანტურ აღქმას, რომ ჩინეთი „დიდი სახელმწიფოა“ (Great Power). ჩვენს კვლევაში კიმის ანალიზს ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობის შესახებ და ჩინეთის თვითაღქმებს დავუმატებთ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ შიშს, როგორც ჩინეთის პოლიტიკის მთავარ ამხსნელ ფაქტორს.

ჟოუ ფენგი და ნათან ბოშამ-მუსტაფაგა ერთობლივ სტატიაში ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობებს რეგიონული პოლიტიკისა და ფართო სტრატეგიული ინტერესების კონტექსტში განიხილავენ (Zhu; Beauchamp–Mustafaga – North Korea’s Security Implications for China, 2015). მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეის სატელიტად შენარჩუნება ჩინეთისთვის კვლავ აქტუალურია, ავტორები ასახელებენ ჩინეთის ინტერესებისთვის მნიშვნელოვან რისკებს, რაც ჩრდილოეთ კორეის აგრესიული პოლიტიკიდან გამომდინარეობს. ავტორები განსაზღვრავენ იმ ფაქტორებს, რის გამოც ჩინეთისთვის ჩრდილოეთ კორეასთან პარტნიორობა დროდადრო უფრო „ხარჯიანი“ გახდება და სი ძინპინის პოლიტიკის შედეგად შესაძლოა გრძელვადიან პერსპექტივაში ჩინეთმა უფრო და უფრო ნაკლები დახმარება გაუწიოს ჩრდილოეთ კორეას. სტატიის ავტორები თავიანთ ნაშრომში კარგად ასახავენ ბირთვული ჩრდილოეთ კორეიდან მომდინარე საფრთხეებს, რამაც შესაძლოა ჩინეთის ინტერესები დააზიანოს. ამ საფრთხეებს შორისაა: ომი, მასიური მიგრაცია ჩინეთში, რეგიონში აშშ-ს სამხედრო ძალის ზრდა და სხვა რეგიონული ძალების

მიერ ბირთვული იარაღის დამზადება. აღნიშნული სტატია 2015 წელს გამოქვეყნდა და მას შემდეგ 2016-2019 წლებში ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით ყველაზე მსხვილ კრიზისს ჰქონდა ადგილი, რა დროსაც ჟოუსა და ბოშამ-მუსტაფაგას მიერ დასახელებული ყველა საფრთხე რეალური გახდა და ჩინეთმა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ მკაცრ სანქციებს დაუჭირა მხარი. ჯამში, ბირთვულმა კრიზისმა ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის მიმართ არ შეცვალა და საფრთხეების მიუხედავად განაგრძობს ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას. ჩვენი ნაშრომის მიხედვით, აღნიშნულ საფრთხეებს ჩინეთის პოლიტიკაზე მხოლოდ მოკლევადიანი გავლენა აქვს და გრძელ ვადაში ჩინეთი აგრძელებს ჩრდილოეთ კორეის მხარდაჭერას, რითიც ჩანს, ჩინეთისთვის რეგიონული მიზნების მიღწევაში ჩრდილოეთ კორეას უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე ზიანი.

ყოფილი ჩინელი დიპლომატი და ჩინეთის სოციალური მეცნიერების აკადემიის შეიარაღების კონტროლისა და გაუვრცელებლობის კვლევის დირექტორი, გუ გუოლიანგი თავის სტატიაში „ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული და სარაკეტო პროგრამების მიმართ“ (Gu - China's Policy toward the DPRK Nuclear and Missile Programs, 2015) ადარებს ჩინეთისა და აშშ-ის დამოკიდებულებასა და პოლიტიკას ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ. გუს ავტორის მიხედვით, ორივე, აშშ-სა და ჩინეთს სურთ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღება. აშშ-ს პოლიტიკა არსებითად არ შეცვლილა და ის ყოველთვის მიმართავს ეკონომიკურ სანქციებს, ხოლო საბოლოო მიზანი რეჟიმის ჩამოშლაა. ჩინეთი კი ცდილობს პრობლემის მოლაპარაკებების გზით მოგვარებას და კარგი უერთიერთობის შენარჩუნებას ორივე კორეასთან. თუმცა, ავტორის მიხედვით, გეოგრაფიული ფაქტორების გამო, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა ჩინეთისთვის უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს ვიდრე აშშ-სთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ნაშრომში ვიზიარებთ მოსაზრებას ჩინეთსა და აშშ-ს შორის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. კერძოდ, ერთი მხრივ აშშ-ის რეჟიმის შეცვლის, მეორე მხრივ კი ჩინეთის სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესებს. თუმცა, ჩინეთის პოლიტიკიდან

გამომდინარეობს, რომ ის ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ იარაღს რეჟიმის ჩამოშლაზე ნაკლებ საფრთხედ მიიჩნევს, ხოლო მისი რეგიონული ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ბირთვული ჩრდილოეთ კორეა ჩინეთისთვის სარგებლის მომტანიც არის.

შენ დინგლი 2006 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩრდილოეთ კორეის სტრატეგიული მნიშვნელობა ჩინეთისთვის“ (Shen – North Korea’s Strategic Significance to China, 2006) წერს აშშ-სა და ჩინეთს შორის აღმოსავლეთ აზიის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებში ერთმანეთის ინტერესთა თანაკვეთაზე და ასკვნის, რომ ჩინეთს შეუძლია ბირთვული ჩრდილოეთ კორეა საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს. (Shen, 2006) კერძოდ, ჩინეთს შეუძლია ჩრდილოეთ კორეაზე გავლენის მოხდენის ძლიერი ბერკეტები ტაივანის საკითხე მხარდაჭერის გაძლიერებისთვის გამოიყენოს და ამავდროულად ბირთვული ჩრდილოეთ კორეის ფაქტორის გამო აშშ-ის სამხედრო მოქმედებების რისკები შეამციროს. ჩინეთის პოლიტიკიდან გამომდინარე მომდევნო წლებში დადასტურდა, რომ როგორც შენი თავის სტატიაში წერდა, ჩინეთისთვის მთავარი პრიორიტეტი ჩრდილოეთ კორეის სატელიტად შენარჩუნება და შესაბამისად რეჟიმის ჩამოშლის არდაშვებაა, თუმცა, ნაშრომში ასევე განვიხილავთ კორეის ნახევარკუნძულზე ომის დაწყების თაობაზე ჩინეთის შიშს, რაც მისი მხრიდან ჩრდილოეთ კორეაზე შიგადაშიგ ძლიერი ზეწოლის მთავარი მიზეზია.

ავერი გოლდშტეინი თავის წიგნში „გამოწვევის წინაშე დადგომა: ჩინეთის დიდი სტრატეგია და საერთაშორისო უსაფრთხოება“ (Goldstein – Rising to the Challenge: China’s Grand Strategy and International Security, 2005) საუბრობს ჩინეთის ლიდერების დიდ სტრატეგიაზე, რითიც ისინი XXI საუკუნეში ცდილობენ ჩინეთის ინტერესების მიღწევას. გოლდესტაინის მიხედვით, ჩინეთის სტრატეგიის მთავარი მიზანი არის ჩინეთის განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის სასურველი გარემოს შექმნა და ამავდროულად ჩინეთის ზრდასთან დაკავშირებული აღქმების გაქარწყლება. ავტორის მიხედვით, ჩინეთი

1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან აქტიურად იწყებს მრავალმხრივ ფორუმებსა და ორგანიზაციებში ჩართვას, რათა რეგიონულ მეზობლებთან და ასევე დიდ ძალებთან, როგორცაა აშშ და რუსეთი პარტნიორული ურთიერთობები დაამყაროს და შესაბამისად შეძლოს მშვიდობიანად განვითარება. აღნიშნული წიგნი გამოიცა 2005 წელს, როდესაც ჩინეთის ეკონომიკური თუ სამხედრო შესაძლებლობები დღევანდელთან შედარებით გაცილებით უფრო მცირე იყო და შესაბამისად, მისი პოლიტიკაც ნაკლებად აგრესიული. თუმცა, დღეს ვითარება შეცვლილია და სი ძინჰინის ჩინეთი აშშ-სთან პარტნიორობის ნაცვლად ღია კონფრონტაციაშია ჩართული.

ამ საკითხზე ასევე წერს რაშ დოში წიგნში „გრძელი თამაში: ჩინეთის დიდი სტრატეგია ამერიკული წესრიგის შესაცვლელად“ (Doshi, *The Long Game: China's Grand Strategy to Displace American Order* – 2015). ის გოლდენსტაინის მსგავსად ყურადღებას ამახვილებს 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩინეთის ძალისხმევაზე, მონაწილეობა მიიღოს რეგიონულ ეკონომიკურ და უსაფრთხოების პლატფორმებში, რათა აღიქმებოდეს როგორც პასუხისმგებლიანი სახელმწიფო. გოლდენსტაინისგან განსხვავებით, დოშის მიხედვით, თავიდანვე ჩინეთის მთავარი პრიორიტეტი აშშ-ის გავლენის შემცირება და საკუთარი გავლენის გაზრდა იყო. ამ მხრივ, საინტერესოა ორივე ავტორის არგუმენტები და მათი დაკავშირება ჩრდილოეთ კორეის საკითხთან. ერთი მხრივ, რა გავლენა აქვს ბირთვული ჩრდილოეთ კორეისადმი ჩინეთის მხარდაჭერას მისი რეპუტაციისთვის და მეორე მხრივ აშშ-ს გავლენის შეკავებისთვის.

საინტერესოა ჟან-მარკ ბლანშარდისა და ნორის რიპსმანის წიგნი „სახელმწიფოს ეკონომიკური მართვა და საგარეო პოლიტიკა“ (Blanchard; Ripsman – *Economic Statecraft and Foreign Policy*, 2013). ავტორები განიხილავენ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკური სანქციების წარმატებულობას. ჩინეთის როლის ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარების პროცესში. ავტორებმა შეიმუშავეს მოდელი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური სანქციები მხოლოდ მაშინ გამოიწვევს კონკრეტული

სახელმწიფოს საქციელის ცვლილებას, როდესაც სანქციებზე დაუმორჩილებლობით უფრო მეტი ზიანი ადგენა, ვიდრე დამორჩილების შემთხვევაში. ავტორების მიხედვით, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება სანქციები არაეფექტური იყოს არის, რომ სანქცირებულ ქვეყანას ჰყავდეს ძლიერი მოკავშირე, რომელიც ამ სანქციებისგან თავის არიდებაში დაეხმარება (FBlanchard & NorrinRipsman, 2013). ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ბლანშარდისა და რიპსმანის თეორიის მიხედვით ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციების არაეფექტურობის მიზეზის დასადგენად და ამ პროცესში ჩინეთის, როგორც მისი ძლიერი მოკავშირის როლის გამოყოფა.

თავი II. ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის ისტორია და ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობები

2.1. ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარების მოკლე ისტორია

ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ ამბიციებს სათავე ჯერ კიდევ 1950-იანი წლებიდან იღებს. 1958 წელს აშშ-ის მიერ სამხრეთ კორეაში ბირთვული იარაღის განთავსება ჩრდილოეთ კორეამ აღიქვა, როგორც ნახევარკუნძულზე ბირთვული იარაღის გავრცელება და ომის შემდგომ დაძაბული მდგომარეობის გაგრძელება (Woo, 2022). თავდაპირველად, ჩრდილოეთ კორეის ამბიციები უბრალო ბირთვული ენერჯის გამომუშავებას ითვალისწინებდა, რომელიც საჭირო იქნებოდა ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის. 1959 წელს, ჩრდილოეთ კორეამ საბჭოთა კავშირთან მოაწერა ხელი ბირთვულ შეთანხმებას და უკვე 1965 ააშენა იონგბიონის ატომური კომპლექსი, რომელიც დღესაც ჩრდილოეთ კორეის ბირთვული რეაქტორებისა და ურანის გამდიდრების მთავარი ადგილსამყოფელია.

1960-იან წლებში ნელ-ნელა უკვე გამოიკვეთა ჩრდილოეთ კორეის ამბიციები, რომ ატომური პროგრამის მთავარი დანიშნულება არა ელექტროენერჯის გამომუშავება, არამედ ბირთვული იარაღის წარმოება უნდა ყოფილიყო. საბჭოთა კავშირის შემდეგ ჩრდილოეთ კორეამ მის მეორე მოკავშირეს, ჩინეთს მიმართა, რომელმაც 1964 წელს თავისი პირველი ატომური იარაღი გამოსცადა. კიმ ირ სენმა თხოვა მათ მედუნს დახმარებოდა ბირთვული იარაღის განვითარებაში, თუმცა უარი მიიღო (Jae-Bong, 2009, p. 12). მიუხედავად ამისა, 1960-იან წლებში ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას მჭიდრო იდეოლოგიური კავშირი ჰქონდათ. სწორედ ამის საფუძველზე, 1962 წელს ორმა ქვეყანამ „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმება“ გააფორმეს. ჩრდილოეთ კორეის დაუცველობის სინდრომი გამწვავდა 1970-იან წლებში. პირველად, კორეის ნახევარკუნძულზე ბირთვული იარაღის შექმნაზე საუბარი სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა, პაკ ჩონ ჰიმ დაიწყო. ბირთვული

პროგრამის განვითარებაზე ორი კორეის მხრიდან აქტიურად საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც ნიქსონის ახალი დოქტრინის მიხედვით, აშშ შეამცირებდა სამხედრო გავლენას აზიის რეგიონში და ჩინეთთან ურთიერთობას გააუმჯობესებდა. ორი კორეის ლიდერებს ემინოდათ, რომ დიდი სახელმწიფოები, ამ შემთხვევაში აშშ და ჩინეთი, კვლავ შეეცდებოდნენ კორეის ნახევარკუნძულის ბედის გადაწყვეტას. შესაბამისად, ორივე კორეის ლიდერებს სურდათ, ჰქონოდათ რაიმე ბერკეტები, რითიც დიდ ძალებს არ მისცემდნენ მათი მანიპულირების საშუალებას (Nam S. W., 2019).

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს წნეხის შემდეგ სამხრეთ კორეამ 1977 წელს ოფიციალურად თქვა უარი ბირთვული იარაღის დამზადებაზე, ჩრდილოეთ კორეის ლიდერის აღქმაში ბირთვული იარაღის დამზადება უკვე გაიგივებული იყო რეჟიმის გაძლიერებასთან. შესაბამისად, მან დიდი ძალებისგან, მათ შორის, პარტნიორების, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთისგან მაღულად განაგრძო ბირთვული პროგრამის განვითარება. 1970-იანების ბოლოდან ჩინეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამასთან ერთად, ჩინეთმა თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე გადასვლით სავაჭრო ურთიერთობა დაიწყო სამხრეთ კორეასთან, რომელიც პრეზიდენტ პაკ ჩონ ჰის რეფორმების შედეგად სწრაფ ეკონომიკურ ზრდას განიცდიდა. ჩრდილოეთ კორეა ამ დროს კვლავ კიმ ირ სენის მიერ შექმნილი „ჯუჩეს“ იდეოლოგიით იმართებოდა, რაც ყველა სფეროში მაქსიმალურ თვითდაკმაყოფილებას გულისხმობდა, ხოლო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის აშშ-სთან დაახლოებას სოციალისტური პრინციპების უარყოფად აღიქვამდა და კიდევ უფრო იზრდებოდა პროამერიკული ძალებისგან თავდასხმის შიში. „ჯუჩეს“ იდეოლოგია მიუხედავად იმისა, რომ თვითდაკმაყოფილებას გულისხმობს, ჩრდილოეთ კორეა არასდროს ყოფილა „თვითდაკმაყოფილებული“ ეკონომიკურად და მას ყოველთვის ძლიერი პარტნიორები, საჭოთა კავშირი და ჩინეთი უწევდნენ დახმარებას. „ჯუჩეს“ იდეოლოგიის მთავარი აზრი არა თვითდაკმაყოფილებაში დევს, არამედ ქვეყნის პოლიტიკის დამოუკიდებლობაში და დიდწილად მიმართულია არა მხოლოდ მტრული ძალების მიმართ, როგორც არის აშშ, არამედ ისეთი ახლო მოკავშირის მიმართაც, როგორც არის ჩინეთი. კიმ ირ სენმა „ჯუჩეს“ იდეოლოგიის შექმნითა და შემდეგ მთელი ერის

იდენტობის საფუძვლად ქვევით ჩინეთს ანიშნა, რომ მათ შორის მოკავშირეობის მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეა არ მისცემდა მანიპულირებისა და ზედმეტი გავლენის მოხდენის საშუალებას. ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობის ანალიზისას აუცილებელია ამ მოცემულობის გათვალისწინება, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობის ფაქტიურად ყველა ეტაპზე ნათლად იკვეთება და წარმოადგენს იმ ტვირთს, რისი ატანაც ჩინეთს დღემდე უწევს.

1980-იანი წლების მეორე ნახევარი ჩრდილოეთ კორეისთვის რთული პერიოდი იყო, რადგან მისმა ორმა მთავარმა მოკავშირემ, საბჭოთა კავშირმა და ჩინეთმა გააუმჯობესეს ურთიერთობა აშშ-სა და სამხრეთ კორეასთან. ეს კიმ ირ სენისთვის საკუთარი პარტნიორების ერთგულებაში ეჭვს კიდევ უფრო ამძაფრებდა. ამ დროს დაიწყო ჩრდილოეთ კორეამ საკუთარი ბირთვული პროგრამით ვაჭრობა, რაც შემდეგ კიმ ჩენ ირმა განავითარა.

ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობის გაუარესების ტენდენციამ 1990-იანი წლების დასაწყისში პიკს მიაღწია მას შემდეგ, რაც ჩინეთმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა სამხრეთ კორეასთან და მისი „ერთი კორეის პოლიტიკა“ „ორი კორეის პოლიტიკით“ შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში ჩინეთი კვლავ პოლიტიკურად მხარს უჭერდა ჩრდილოეთ კორეას, ურთიერთობის პირობები ქვეყნებს შორის საგრძნობლად შეიცვალა. ახალი ტიპის ურთიერთობა ჩინეთისთვის ეკონომიკურად უფრო რაციონალური იყო. სამხრეთ კორეასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის შემდეგ, ჩინეთმა შეწყვიტა ჩრდილოეთ კორეისთვის „მეგობრულ ფასში“ ნედლი ნავთობის, ქვანახშირისა და სასუქების მიწოდება და ასევე შეწყვიტა საპროცენტო განაკვეთის გარეშე სესხის გაცემა. ამის გამო, ორმხრივი ვაჭრობა 1995 წელს 1993-სთან შედარებით \$400 მილიონით შემცირდა, ხოლო საკვების ექსპორტი ჩრდილოეთ კორეაში 1993-1994 წლებში განახევრდა. 2001 წლისთვის, ვაჭრობა ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის \$325 მილიონს შეადგენდა, მაშინ, როდესაც ჩინეთ-სამხრეთ კორეის ვაჭრობა \$35.9 მილიარდს აღემატებოდა. ურთიერთობის გაუარესება დიპლომატიურ დონეზეც აშკარა იყო. 1992-2000 წლებში არცერთი ჩინელი მაღალჩინოსანი არ ჩასულა ჩრდილოეთ კორეაში. კიმ ჩენ ირიც ქვეყნის ლიდერის ამპლუაში ჩინეთს პირველად 2001 წელს ეწვია.

(Cha, 2012, p. 57). გაუარესებული ურთიერთობის მიუხედავად, ჩინეთისთვის პრიორიტეტად რჩებოდა ჩრდილოეთ კორეაში რეჟიმის სტაბილურობის შენარჩუნება.

1993 წელს, მას შემდეგ რაც აშშ-მ და სამხრეთ კორეამ განაახლეს სამხედრო წრთვები, რომლის მიზანიც ჩრდილოეთ კორეისგან მომდინარე საფრთხის დაბალანსება იყო, ჩრდილოეთ კორეამ დააანონსა, რომ აპირებდა ბირთვული გაუვრცელებლობის შეთანხმების (NPT) დატოვებას. ამის შემდეგ ვითარება კორეის ნახევარკუნძულზე გამწვავდა და სამხედრო დაპირისპირების საფრთხე შეიქმნა. ამის შემდეგ, ჩინეთმა, რომელიც უკანასკნელ წლებში ცდილობდა დისტანცია დაეჭირა ორ კორეას შორის ურთიერთობის დარეგულირებაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დაძაბული სიტუაციის განმუხტვაში და ხელი შეუწყო აშშ-ჩრდილოეთ კორეას შორის ახალი დიალოგის დაწყებას. სამხრეთ კორეასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შედეგად ჩრდილოეთთან ურთიერთობის გაფუჭების მიუხედავად, ჩინეთი მაინც რჩებოდა ჩრდილოეთ კორეის ენერჯისა და საკვების იმპორტის მთავარ წყაროდ, ამავდროულად, ის იყო გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი და შეეძლო ვეტო დაედო ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ინიცირებულ სანქციებისთვის. კლინტონის ადმინისტრაციამ იცოდა, რომ ჩინეთი წინააღმდეგი იყო პრობლემის სანქციების გზით მოგვარების. სწორედ ამიტომ, კლინტონმა დააანონსა, რომ ჩინეთს განსაკუთრებული სავაჭრო პარტნიორის სტატუსს მიანიჭებდა ადამიანის უფლებების შესახებ მოთხოვნების დაწესების გარეშე (BroderJohn & MannJim, 1994). თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის, ენტონი ლეიკის მიხედვით, სანქციების რეზოლუციის მთავარი მიზანი იყო, რომ ჩინეთს ჩრდილოეთ კორეა დაეთანხმებინა თანამშრომლობაზე. ამავდროულად, სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჰან სუნგ ჯუმ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ციან ციჩენს უთხრა, რომ ჩინეთისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო, დაერწმუნებინა ჩრდილოეთ კორეა, რომ მას სანქციები ემუქრებოდა. შესაბამისად, ჩინელმა დიპლომატებმა ფხენიანში ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებს მოუწოდეს ბირთვულ საკითხზე საერთაშორისო საზოგადოებასთან ეთანამშრომლათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოუწევდათ მძიმე

სანქციებთან გამკლავება ჩინეთის დახმარების გარეშე (Oberdorfer, U.S. DECIDES TO WITHDRAW A-WEAPONS FROM S. KOREA: The Washington Post, 1991).

შედეგად, 1994 წელს ჩრდილოეთ კორეამ და აშშ-მ ხელი მოაწერეს „შეთანხმებულ სტრუქტურას“ (Agreed Framework), რომლის ფარგლებშიც ჩრდილოეთ კორეა შეაჩერებდა ბირთვული პროგრამის განვითარებას მრავალმხრივი ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარების სანაცვლოდ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რეალურად გამოჩნდა ჩინეთის მნიშვნელობა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში.

2.2. ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული კრიზისები 2003-2019 წლებში და ჩინეთის რეაქცია

2003 წელს დაიწყო ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის ირგვლივ პირველი კრიზისი, რომელშიც ჩინეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. ჩრდილოეთ კორეამ აღიარა რომ მუშაობდა ურანის გამდიდრებაზე, აპირებდა მთავარი ბირთვული რეაქტორის, იონგბიონის კვლავ ამუშავებას და ტოვებდა NPT-ს შეთანხმებას.

როგორც 1990-იანი წლების დასაწყისში, ამჯერადაც, აშშ ცდილობდა ჩინეთის დარწმუნებას, რომ რეგიონში დესტაბილიზაციისა და პოტენციური სამხედრო დაპირისპირების თავიდან ასარიდებლად საჭირო იყო მისი ჩარევა და ჩრდილოეთ კორეაზე წნეხის მოხდენა (Oberdorfer & Carlin, 2014, p. 410). ჩინეთი ამ დრომდე მხოლოდ და მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლებოდა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული საკითხზე და მიაჩნდა, რომ ეს საკითხი აშშ-ჩრდილოეთ კორეას შორის მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყვეტილიყო. აშშ წინააღმდეგი იყო ჩრდილოეთ კორეასთან ორმხრივი მოლაპარაკებების წარმოების. მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კორეა წინააღმდეგი იყო

მრავალმხრივი მოლაპარაკებებისა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს მის წინააღმდეგ დამატებითი წნეხის მოხდენისთვის იქნებოდა გამოყენებული. მას სურდა აშშ-სთან მოლაპარაკებები, რათა ბირთვული პროგრამით ვაჭრობით მიეღო ეკონომიკური სარგებელი და ასევე მიეღო კონკრეტული უსაფრთხოების გარანტიები (Park, 2004). გამომდინარე იქიდან, რომ სიტუაცია ნახევარკუნძულზე მწვავედებოდა და ომის რისკი რეალური ხდებოდა, ჩინეთმა გადაწყვიტა სათავეში ჩადგომოდა მხარეებს შორის მოლაპარაკებებს.

ჩრდილოეთ კორეის მოლაპარაკებებზე დასათანხმებლად ჩინეთმა, როგორც რბილი, ასევე ხისტი მეთოდი გამოიყენა. რბილი მეთოდი იყო ჩინეთის პრეზიდენტის, ჰუ ძინტაოს მიერ გაგზავნილი გამოცდილი ჩინელი დიპლომატი, დაი ბინგუო, რომელმაც კიმ ჩენ ირს ჰუს წერილი გადასცა. ჩინეთის პრეზიდენტი ჩრდილოეთ კორეას პირდებოდა: 1) ჩინეთი მზად იყო გულითადად დახმარებოდა კრიზისის მედიაციით მოგვარებაში 2) ჩინეთი ჩრდილოეთ კორეას მომდევნო წლების მანძილზე ეკონომიკურ დახმარებას გაუწევდა 3) ჩინეთი დაარწმუნებდა აშშ-ს, რომ ბირთვული განიარაღების სანაცვლოდ, პირობა დაედო ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობაზე (HairenZong, 2003). ხოლო ხისტ მეთოდად შეგვიძლია განვიხილოთ ჩინეთის მიერ სამი დღის მანძილზე ჩრდილოეთ კორეისთვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტა, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო ერთგვარი გაფრთხილება (WattsJonathan, 2003). შესაბამისად, აღნიშნული რბილი და ხისტი სტრატეგიით ჩინეთმა აჩვენა ჩრდილოეთ კორეას, რომ ჩინეთი მზად იყო რეალური ძალისხმევა ჩაედო საკითხის მშვიდობიანად მოგვარებაში ისე, რომ ჩრდილოეთ კორეის ინტერესები დაცული ყოფილიყო, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ის უარს იტყოდა მოლაპარაკებებზე და ხელს შეუწყობდა სიტუაციის დესტაბილიზაციას, ჩინეთი მზად იყო მის წინააღმდეგ მკაცრი ზომები გამოეყენებინა.

შედეგად, ჩინეთმა, ორივე, აშშ და ჩრდილოეთ კორეა დაითანხმა პეკინში სამხრევი მოლაპარაკებების გამართვაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, მან საფუძველი ჩაუყარა იმავე წელს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის საკითხზე პირველი მრავალმხრივი მოლაპარაკებების დაწყებას, რომელშიც ჩართული იყვნენ: აშშ, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ კორეა, იაპონია და რუსეთი.

მოლაპარაკებებს „ექვსი მხარის მოლაპარაკებები“ ეწოდა და მის ფარგლებში 2003-2008 წლებში შვიდი რაუნდის მოლაპარაკება ჩატარდა, ხოლო მისი მასპინძელი ქვეყანა ჩინეთი იყო.

აღნიშნული მოლაპარაკებები ორი ფაქტორის გამო არის აღსანიშნავი: 1) ეს იყო პირველი მრავალმხრივი მოლაპარაკებები ჩრდილოეთ კორეის საკითხზე, სადაც ჩართული იყო, როგორც აშშ, ისე აღმოსავლეთ აზიის ყველა სახელმწიფო. 2) ექვსი მხარის მოლაპარაკებებში ჩინეთი პირველად იყო წარმოდგენილი ერთ-ერთ მხარედ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის საკითხზე მოლაპარაკებებში და ყველა რაუნდის დროს გამოჩნდა, რომ ჩინეთი არა მხოლოდ რიგითი მონაწილე, არამედ მოლაპარაკებების „მასპინძელი“ და ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარე იყო.

რატომ გადაწყვიტა ჩინეთმა, მოლაპარაკებებში არა მხოლოდ ფორმალური მონაწილეობა მიეღო და 1990-იანი წლების მსგავსად მარტივი განცხადებებით შემოფარგულიყო, არამედ მთელი პროცესის მანძილზე ყოფილიყო ერთ-ერთი მთავარი მომლაპარაკებელი აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის? თუ მოლაპარაკებები, რომლის სათავეშიც ჩინეთი იდგა, გაამართლებდა, ეს მას აშშ-სთან შედარებით დიდ რეპუტაციულ უპირატესობას მოუტანდა აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. თითქმის სამხედრო დაპირისპირებამდე მისული ვითარების მრავალმხრივ მოლაპარაკებებში გადაყვანითა და საბოლოოდ საკითხის მშვიდობიანად მოგვარება აჩვენებდა, რომ ჩინეთი არის გლობალურად მზარდი სახელმწიფო, რომლის მიზანიც არის მულტილატერალური გზებით მშვიდობიანი და სტაბილური გლობალური გარემოს უზრუნველყოფა. ამ მხრივ, ჩრდილოეთ კორეის საკითხზე მოლაპარაკებების პროცესისთვის სათავეში ჩადგომა იდეალური შესაძლებლობა იყო ჩინეთისთვის გაეუმჯობესებინა საკუთარი რეპუტაცია და ამავდროულად ხელი შეეშალა კორეის ნახევარკუნძულზე აშშ-ის გავლენის გაზრდისთვის.

ჩინეთის ძალისხმევის მიუხედავად, მოლაპარაკებებმა წარმატებას ვერ მიაღწია და 2006 წლის 9 ოქტომბერს ჩრდილოეთ კორეამ პირველი ბირთვული ტესტი ჩაატარა. ჩინეთის გაღიზიანება ნათლად გამოჩნდა მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. საგარეო საქმეთა

სამინისტროს მიერ 10 ოქტომბერს გაკეთებულ განცხადებაში წერია, რომ ჩრდილოეთ კორეამ აღმაშფოთებელი ბირთვული ტესტით უგულვებელყო საერთაშორისო საზოგადოების საერთო წინააღმდეგობა“ (ChinaMinistry, 2006). სიტყვა „აღმაშფოთებელს“ (flagrant) ჩინეთი აქამდე მხოლოდ მეტოქეებისა და მტრული ძალების წინააღმდეგ იყენებდა. პირველი ბირთვული ტესტის შემდეგაც, ჩინეთს ჩრდილოეთ კორეის მომდევნო ბირთვულ გამოცდებთან დაკავშირებულ განცხადებებში ეს სიტყვა არასდროს აღარ გამოუყენებია (GlaserBonnie, 2016). აქედან გამომდინარე, დიპლომატიური ენითაც ჩანს, რამდენად გააღიზიანა ჩრდილოეთ კორეის ასეთმა გადაწყვეტილებამ ჩინეთის მთავრობა.

ექვსი მხარის მოლაპარაკებებში აშშ-ს დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე, ვიქტორ ჩა თავის წიგნში წერს, რომ არავინ არ იყო ჩრდილოეთ კორეის ბირთვული გამოცდით ისე განრისხებული, როგორც ჩინეთი. ჩა აღწერს, რომ ჩინეთი არაერთი გზით ცდილობდა ჩრდილოეთ კორეის დარწმუნებას, არ განეხორციელებინა ბირთვული ტესტი. ჩინეთის გადმოსახედით, აღნიშნული ქმედება იქნებოდა უპრეცედენტო აქტი, რომელიც ღიად დაარღვევდა ბირთვული გაუზრცელებლობის შეთანხმებებს და ნებისმიერ კითხვის ნიშანს გააქრობდა იმის შესახებ, რეალურად აქვს თუ არა ჩრდილოეთ კორეას ბირთვული იარაღი. ამ უკანასკნელს ჩინეთი მოლაპარაკებების დროს იყენებდა, რათა განემუხტა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის ირგვლივ შექმნილი განგაში. ამავდროულად, ჩრდილოეთ კორეის ეს ქმედება დიდ უპატივცემულობას გამოხატავდა ჩინეთის მიმართ და წარმოადგენდა ღია გზავნილს, რომ ვერავინ, მათ შორის, ჩინეთიც, ვერ უკარნახებდა ფხენიანს, როგორ მოქცეულიყო (Cha, 2012, p. 57). ჩინეთის იმედგაცრუება მხოლოდ განცხადებებით არ შემოიფარგლა და მან, პირველად, გაეროს უშიშროების საბჭოზე მხარი დაუჭირა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციებს. რეზოლუცია 1718 მოიცავს ჩრდილოეთ კორეისთვის იარაღისა და ბირთვული ტექნოლოგიების გადაცემის აკრძალვას და მოუწოდებს სახელმწიფოებს აქტიურად ჩაატარონ ჩრდილოეთ კორეაში შემავალი და გამომავალი სატვირთო გემების ინსპექცია (United Nations Security Council, 2006).

2008 წელს, ექვსი მხარის მოლაპარაკებების უკანასკნელი რაუნდი წარუმატებლად დასრულდა და მალევე, 2009 წელს, ჩრდილოეთ კორეამ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც ის ველარ ხედავდა ექვსი მხარის მოლაპარაკებების აზრს და აღნიშნა, რომ აღარასდროს მიიღებდა მსგავს მოლაპარაკებებში მონაწილეობას. ასევე, აღნიშნულ განცხადებაში ჩრდილოეთ კორეამ დააანონსა ბირთვული პროგრამის გაძლიერება (Deutsche Welle, 2009). განცხადების გავრცელებიდან ორ თვეზე ნაკლებში ჩრდილოეთ კორეამ მეორე ბირთვული ტესტი ჩაატარა. 12 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭომ დაამტკიცა რეზოლუცია 1874, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა 2006 წელს მიღებული რეზოლუციისგან. 2009 წლის რეზოლუციით, გაფართოვდა იარაღის ემბარგო ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ და ცეცხლსასროლი იარაღის გარდა ნებისმიერი იარაღი მოიცვა (UN Security Council, 2009).

ჩრდილოეთ კორეის მიერ 2013 წელს ბირთვული იარაღის მესამეჯერ გამოცდას სიტუაციის რადიკალური გამწვავება არ გამოუწვევია. ჩინეთმა, აშკარა უკმაყოფილების მიუხედავად, განსაკუთრებულად მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები არ გამოიყენა მის წინააღმდეგ. ეს გამოიხატა ჩინეთის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაშიც, რომელიც, 2009 წლის მსგავსად, უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე 2006 წლის განცხადება. მაშინ, როდესაც ბირთვული იარაღის პირველი გამოცდის შემდეგ ჩინეთმა ოფიციალურ განცხადებაში სიტყვა „აღმაშფოთებელი“ გამოიყენა, რომელსაც ის ყოველთვის მტრული ძალებისთვის იყენებს, 2013 წელს განცხადებაში უბრალოდ აღნიშნული იყო, რომ ჩინეთი „მტკიცედ ეწინააღმდეგება“ ბირთვული იარაღის გამოცდებს. აღნიშნული გამოცდის შედეგად ჩინეთის საგარეო უწყებამ დაიბარა ჩრდილოეთ კორეის ელჩი. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, იანგ ძიეჩიმ პეკინის „ძლიერი უკმაყოფილება და ბირთვული გამოცდების მიმართ მყარი წინააღმდეგობა“ გამოხატა (testChina, 2013). ასევე, ჩინეთმა გაეროს უშიშროების საბჭოზე მხარი დაუჭირა რეზოლუცია 2094-ს, რომელიც აფართოებდა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, თუმცა, ის კვლავ არ მოიცავდა ყოვლისმომცველ სანქციებს, რომლებიც პირდაპირ ზიანს მიაყენებდა ქვეყნის ეკონომიკას და მოსახლეობის კეთილდღეობას. რეზოლუცია პერსონალურ სანქციებს უწესებდა იმ პირებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ იმ საქმიანობებით, რომელთა გამოყენებაც

ხდებოდა ბირთვული პროგრამის დასაფინანსებლად. გაეროში ჩინეთის წარმომადგენელმა, ლი ბაოდონგმა აღნიშნა, რომ მთავარი პრიორიტეტი კორეის ნახევარკუნძულზე სიტუაციის განმუხტვა უნდა ყოფილიყო (BBC, 2013).

შემდეგი და ყველაზე მსხვილი ბირთვული კრიზისი 2016 წელს დაიწყო, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღი მეოთხედ გამოსცადა. გავრცელებული ინფორმაციით, ეს უკვე წყალბადის ბომბი იყო. 8 თვეში ჩრდილოეთ კორეამ მეხუთე ბირთვული გამოცდა ჩაატარა, ხოლო მეშვიდე 2017 წლის სექტემბერში. გარდა იმისა, რომ ფაქტიურად წელიწადნახევარში ჩრდილოეთ კორეამ იმდენი ბირთვული იარაღი გამოსცადა, რაც წინა 10 წლის მანძელზე, უკანასკნელი გამოცდა 100-150 კილოტონის სიმძლიერის იყო, რაც 2006 წლის პირველ გამოცდასთან შედარებით, 100-150-ჯერ, ხოლო 2016 წლის მეხუთე ბირთვულ ცდასთან შედარებით დაახლოებით 10-ჯერ უფრო ძლიერი. ჩინეთმა 2016-2017 წლებში მხარი დაუჭირა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ მიღებულ ხუთ რეზოლუციას, რომლებიც ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ უპრენცენდენტო სიმკაცრის სანქციებს ითვალისწინებდნენ. ახალი სანქციები პირდაპირ ურტყამდა ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობას. ახალი სანქციების მიხედვით, ჩრდილოეთ კორეას ეკრძალებოდა მინერალების, ქვანახშირის, რკინის მადნის, ოქროს, ტიტანის მადნის, ზღვის პროდუქტების, სპილენძის, ნიკელის ვერცხლისა ქსოვილების ექსპორტი. სანქციები ასევე მკაცრად ზღუდავდა ჩრდილოეთ კორეისთვის საწვავის მიწოდებას და ითვალისწინებდა რაფინირებული ნავთობის წელიწადში მხოლოდ 500 000 ბარელის მიწოდებას.

ჩინეთმა მკაცრად დაიწყო სანქციების აღსრულება 2017 წლის მეორე ნახევარში, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკას. ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩინეთის მიერ ჩრდილოეთ კორეიდან ქვანახშირის იმპორტის შეჩერება, რაც ჩრდილოეთ კორეის საექსპორტო შემოსავლის მთავარი წყარო იყო. სამხრეთ კორეის ცენტრალური ბანკის მონაცემებით, ჩინეთის მთლიანი ვაჭრობა ჩრდილოეთ კორეასთან 2018 წლის პირველ ნახევარში წინა წელთან შედარებით 59.2%-ით, ხოლო ჩრდილოეთ კორეის მთლიანი ექსპორტი 2017 წელს 37.2%-ით შემცირდა (Reuters, 2018).

ჩინეთის მიზანი კორეის ნახევარკუნძულზე თითქმის საომარ მდგომარეობამდე მისული სიტუაციის განმუხტვა და მხარეების მოლაპარაკებების მაგიდასთან მიყვანა იყო. ეს ასეც მოხდა და საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში მყოფი იზოლირებული ჩრდილოეთ კორეა უეცრად დათანხმდა აშშ-ს პრეზიდენტთან, დონალდ ტრამპთან ორმხრივ მოლაპარაკებებს. ჯამში, პროცესი 2019 წლამდე გაგრძელდა. 2003-2009 წლის ექვსი მხარის მოლაპარაკებებისგან განსხვავებით, სადაც ჩინეთი მასპინძელი ქვეყანა და აშშ-სთან ერთად მოლაპარაკებების ყველაზე აქტიური მონაწილე იყო, 2018-2019 წლის მოლაპარაკებებში ჩინეთი ოფიციალურად არ მონაწილეობდა. მეტიც, კიმ ჩენ ინსა და სი ძინპინს ერთმანეთთან შეხვედრა არასდროს ჰქონიათ, თუმცა, 2018-2019 წლის მოლაპარაკებების დროს ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერები ერთმანეთს ოთხჯერ შეხვდნენ. ჩინეთი ცდილობდა აშშ-სთვის იმის თქმას, რომ კორეის ნახევარკუნძულზე მნიშვნელოვანი საკითხები ვერ გადაწყდებოდა ჩინეთის ჩართულობის გარეშე. ასევე, მას შემდეგ, რაც ტრამპსა და კიმ ჩენ ინს შორის პირველი მოლაპარაკებები პოზიტიური განცხადებებით დასრულდა, ჩინეთს გაუჩნდა შიში, რომ შესაძლოა აშშ-ს და ჩრდილოეთ კორეას გარკვეული შეთანხმება მიეღწიათ ჩინეთის გვერდზე გაწევით.

ერთი მხრივ, ჩინეთი მიესალმებოდა ჩრდილოეთ კორეასა და აშშ-ს შორის მოლაპარაკებების დაწყებას, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კორეასთან ჩინეთის გაფუჭებული ურთიერთობის ფონზე, აშშ-სთან ორმხრივ მოლაპარაკებების დაწყება აჩენდა ჩინეთის პროცესიდან ჩამოშორების შიშს. სწორედ ეს შიში იყო, რის გამოც ჩინეთმა მალევე დაიწყო ჩრდილოეთ კორეასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესება და იმის უზრუნველყოფა, რომ აშშ-სთან მოლაპარაკებების დროს ჩრდილოეთ კორეა მის ორბიტაზე დარჩებოდა (SunYun, 2018). ამასთან ერთად, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ვანგ ი კორეის ნახევარკუნძულზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გაკეთებულ ყველა საჯარო განცხადებაში ხაზს უსვამდა ჩინეთის მიერ 2016 წელს ინიცირებულ „Dual-Track“ მიდგომას, როგორც პრობლემის მოგვარების ყველაზე ოპტიმალურ გზას. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღების

პარალელურად აშშ-მ უარი უნდა თქვას სამხრეთ კორეასთან სამხედრო წრთვების გატარებასა და ნახევარკუნძულზე დამატებით შეიარაღების განთავსებაზე.

რენმინის უნივერსიტეტის პროფესორმა ში ინჰონგმა კიმ ჩენ ინსა და ტრამპს შორის პირველი სამიტის წინ *Deutsche Welle*-სთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ პროცესი ჩინეთის გვერდის ავლით მიმდინარეობს მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კორეა ჯერ კიდევ მტრულად განწყობილია ჩინეთის მიმართ (ShiYinhong, 2018). ასევე, *Global Times*-მა 2018 წლის 2 მაისს გაავრცელა სტატია სათაურით „ჩინეთი აუცილებელია ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღებისთვის“. სტატიაში საუბარია, რომ შეუძლებელი იქნება ჩინეთის გარეშე ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ განიარაღებაზე და ნახევარკუნძულზე სამუდამო მშვიდობის შეთანხმების მიღწევა (AbrahamianAndy, 2018).

სწორედ ამიტომ, სი ძინპინმა ჩრდილოეთ კორეასთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო და შეხვედრისას ხაზი გაუსვა ჩრდილოეთ კორეასა და ჩინეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მნიშვნელობას ტრადიციული „Lips and Teeth“ აღქმის შესაბამისად. „ბევრჯერ განვაცხადეთ, რომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ და გავაუმჯობესოთ ტრადიციული მეგობრობა ჩრდილოეთ კორეასა და ჩინეთს შორის. ეს არის ორივე მხარის მიერ მიღებული სტრატეგიული არჩევანი, რაც დამყარებულია ისტორიასა და რეალობაზე, საერთაშორისო და რეგიონულ ვითარებაზე და ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობის მთლიან სიტუაციაზე“, თქვა სი ძინპინმა (AumFrank, 2018). ორი ლიდერი ერთმანეთს კიდევ ერთხელ სინგაპურის ისტორიულ სამიტამდე ერთი თვით ადრე შეხვდნენ. სიმ და კიმმა ისაუბრეს აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის გასამართ სამიტზე. სიმ ხაზი გაუსვა ჩინეთის მზაობას, აქტიური როლი ითამაშოს კორეის ნახევარკუნძულზე მშვიდობიანი რეჟიმის დამყარების პროცესში, ხოლო ჩინურმა მედიამ გაავრცელა კიმ ჩენ ინის განცხადება, სადაც წერია, რომ ჩრდილოეთ კორეა მზადაა დათმოს ბირთვული იარაღი უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კორეის მედიაში გავრცელებულ კიმის განცხადებაში ბირთვული განიარაღება ნახსენები არ იყო. (HaasBenjamin, 2018). სინგაპურის სამიტამდე კიმ ჩენ ინსა და სი ძინპინს შორის ორი შეხვედრა მიანიშნებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი არ იყო უშუალო მონაწილე

მოლაპარაკებების, ის ინარჩუნებდა გავლენას ჩრდილოეთ კორეაზე და აშშ ვალდებული იყო მოლაპარაკებებს წარმოეხილათ ჩინეთის ინტერესები გაეთვალისწინებინა. ამის ღია დემონსტრირება ასევე იყო ის ფაქტი, რომ კიმ ჩენ ინი სინგაპურში *Air China*-ს თვითმფრინავით ჩაფრინდა (NakazawaKatsuji, 2018).

ტრამპსა და კიმ ჩენ ინს შორის სინგაპურში გამართული პირველი სამიტი დასრულდა შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთ კორეა იმუშავებდა სრულ ბირთვულ განიარაღებაზე, ხოლო აშშ უზრუნველყოფდა ჩრდილოეთ კორეის უსაფრთხოებას. შეთანხმების შემდეგ ტრამპმა განაცხადა, რომ ის აპირებდა აშშ-სამხრეთ კორეის სამხედრო წრთვნების შეჩერებას. რეალურად, პირველი სამიტის შედეგი ჩინეთის მიერ ინიცირებულ „freeze-to-freeze“ მიდგომას ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც ერთდროულად უნდა მოხდეს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამისა და აშშ-სამხრეთ კორეის წრთვნების შეჩერება. თუმცა, ჩრდილოეთ კორეის მიერ „სრულ ბირთვულ განიარაღებაზე მუშაობა“ ძალიან ზოგადი ჩანაწერი იყო, ისევე, როგორც 1994 წლის და 2005 წლის შეთანხმებებში და კონკრეტულ დეტალებს არ მოიცავდა.

ტრამპსა და კიმს შორის მეორე სამიტი ჰანოიში 2019 წლის 27-28 თებერვალს გაიმართა. სინგაპურის სამიტისგან განსხვავებით მხარეებმა ჰანოიში შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. პრეზიდენტი ტრამპის თქმით, ჩრდილოეთ კორეა მზად იყო ნაწილობრივი განიარაღებისკენ, სანაცვლოდ, სანქციების სრულად მოხსნას ითხოვდა, რაც აშშ-სთვის მიუღებელი იყო (The White house, 2019). ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა რი იონგ ჰომ უარყო ტრამპის განცხადება და აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეა სანქციების მხოლოდ ნაწილობრივ მოხსნას ითხოვდა (ShesgreenDeirdre & FritzeJohn, 2019).

ჰანოიში წარუმატებელი სამიტის შედეგად მხარეებს შორის მოლაპარაკებები ფაქტობრივად აღარ გაგრძელდა. ამის მიუხედავად, ჩინეთის ოფიციალური ტონი მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩრდილოეთ კორეის სასარგებლოდ. თუ 2016-2017 წლებში ჩინეთი ოფიციალურ განცხადებებში აკრიტიკებდა ჩრდილოეთ კორეის აგრესიულ ქმედებებს, მხარს უჭერდა მის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებსა და მოუწოდებდა მას

მოლაპარაკებებისკენ, ჰანოის სამიტის წარუმატებლობას ჩინეთი ღიად აბრალებდა აშშ-ს. ჩინეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, „ჩრდილოეთ კორეამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბირთვული განიარაღებისკენ, თუმცა, აშშ-ს მხრიდან შესაბამისი ნაბიჯები არ იქნა გადადგმული, რაც გახდა მოლაპარაკებების შეჩერების მთავარი მიზეზი“ (YiWang, 2020).

ჯამში, 2003-2019 წლების კრიზისებიდან გამომდინარე ჩანს, რომ ჩინეთი ყოველთვის ცდილობდა პასუხისმგებლიანი სახელმწიფოს როლის მორგებას და მხარეებს მოლაპარაკებებისა და საკითხის მშვიდობიანი მოგვარებისკენ მოუწოდებდა. ამავდროულად, ჩინეთმა მხარი დაუჭირა აღნიშნულ წლებში ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. თუმცა, თითოეული კრიზისის განხილვისას ჩანს, რომ ჩინეთის რეაქცია სიმკაცრით ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავდებოდა. მომდევნო თავებში განხილული იქნება ის მიზეზები, რაზეც არის დამოკიდებული ჩინეთის რეაქციის სიმწვავე ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ კრიზისებთან მიმართებით.

თავი III. ჩინეთის ინტერესები აღმოსავლეთ აზიის რეგიონში

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩინეთის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში უფრო და უფრო იზრდება, ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ეკონომიკურ სფეროში. ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ იქცა სამყაროში ერთადერთ ჰეგემონ სახელმწიფოდ. თუმცა, ჩინეთს ჰქონდა გრძელვადიანი ამბიციები, დაპირისპირებოდა აშშ-ის გავლენას. 1980-იან წლებში დენ სიაოპინმა შეიმუშავა „სტრატეგიული დირექტივა“, რომელსაც უნდა შეესუსტებინა აშშ-ს გავლენა როგორც საერთაშორისო სივრცეში, ასევე უშუალოდ მისი გავლენა და ბერკეტები ჩინეთის წინააღმდეგ. ეს სტრატეგია ერთ ფრაზად ხასიათდებოდა, როგორც „შესამღებლობების დამალვა და დალოდება“ (Doshi, 2021, p. 48). აღნიშნული პრინციპი იქცა ჩინეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ სტრატეგიად მომდევნო ათწლეულების მანძილზე და მისი სწორი განხორციელებით ჩინეთი უნდა გამხდარიყო ძალა, რომელზეც აშშ-ს მცირე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენა ექნებოდა, ამავდროულად, ჩინეთი შეძლებდა აშშ-ს ჰეგემონობისთვის კონკურენციის გაწევას.

ცივი ომის შემდგომ რეგიონი გაყოფილია ორ ბანაკად. ერთი, ლიბერალურ დემოკრატიული სახელმწიფოები - აშშ, სამხრეთ კორეა, იაპონია, ტაივანი, და მეორე, ავტორიტარული სახელმწიფოები - ჩინეთი, რუსეთი და ჩრდილოეთ კორეა. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ჩანს, რომ ჩინეთი მაქსიმალურად ცდილობს რუსეთი არ დამარცხდეს ომში, თუმცა, ამის მიუხედავად, რუსეთის ძალა და გავლენა აღმოსავლეთ აზიის რეგიონში საგრძნობლად შემცირდა. ამ პირობებში, ჩრდილოეთ კორეა ჩინეთისთვის უფრო დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან, ჩინეთმა არ უნდა დაუშვას, რომ რეგიონში მისი მეორე პარტნიორიც დასუსტდეს, ან საერთოდ დაიშალოს.

ჩინეთის მიზანია 2049 წელს, სახალხო რესპუბლიკის მეასე წლისთავისთვის “ეროვნული გამოცოცხლების“ მიღწევა. ამის შესახებ ჩინეთის პრეზიდენტმა, სი ძინპინმა 2021 წელს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მეასე წლისთავზე ისაუბრა (Xinhua, 2021).

„ეროვნული გამოცოცხლება“ სი ძინპინის მიერ შემუშავებული „ჩინური ოცნების“ ნაწილია. რეგიონულ დონეზე, ჩინეთის ინტერესში შედის აშშ-ის ჯარების გასვლა სამხრეთ კორეიდან და იაპონიიდან, ამერიკის რეგიონული ალიანსების შესუსტება, ტაივანთან გაერთიანება და აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ტერიტორიული დავების მოგვარება.

1989 წელს ჩინეთის ხელისუფლებამ პეკინში, ტიანანმენის მოედანზე სასტიკად დაარბია პროდემოკრატიული მოძრაობის მომიტინგეები, რასაც მინიმუმ 10 000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ მოვლენის შედეგად ჩინეთი საერთაშორისო სანქციებისა და დიპლომატიური იზოლაციის ქვეშ მოექცა. ამის გამო, 1990 წელს ჩინეთის ეკონომიკური განვითარება 3.9%-მდე, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1990 წლის პირველ ნახევარში 22%-ით შემცირდა. ასევე, ტურიზმიდან შემოსავალი 1989 წელს წინა წელთან შედარებით 20%-ით ნაკლები იყო (HardingHarry, 1990). ტიანანმენის შემდგომ ჩინეთის იზოლაცია ძირს უთხრიდა დენ სიაოპინის შემუშავებულ „სტრატეგიულ დირექტივას“, ხოლო ამის შემდგომ ჩინეთის მიზანი გახდა საერთაშორისო სივრცეში „მშვიდობისმყოფელი“ და „პასუხისმგებლიანი“ სახელმწიფოს რეპუტაციის აღდგენა. სწორედ ამიტომ, 2000-იანი წლებიდან ჩინეთ ხშირად იყენებდა ტერმინს „მშვიდობიანი აღმავლობა“.

3.1. მშვიდობიანი აღზევა და რეგიონული თანამშრომლობა

როგორც უკვე ვახსენეთ, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ჩინეთი ცდილობს თავი დაიმკვიდროს, როგორც „მშვიდობიანად აღზევებადი“ და პასუხისმგებლიანი სახელმწიფო. ჩინეთი ცდილობს დაარწმუნოს რეგიონის მეზობელი სახელმწიფოები, რომ ჩინეთთან ეკონომიკური კავშირების გაძლიერება მათ ინტერესებშიც შედის. ჩინეთისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მჭიდრო ეკონომიკური კავშირების დამყარება მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა გაზარდოს საკუთარი და შეამციროს აშშ-ის გავლენა. ამავდროულად, ჩინეთის ეკონომიკური კავშირების გაძლიერებით ტაივანის საკითხის მიმართ საკუთარი პოზიციის რეგიონში გამყარებას შეუწყობს ხელს. მისი მშვიდობიანი

აღმავლობისა და შიდა ეკონომიკური განვითარებისთვის სტაბილური გარემოს უზრუნველსაყოფად, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია ფოკუსირებულია ძირითად მიმართულებებზე: ეკონომიკური პროგრესის შენარჩუნება, აქტიური ჩართულობა მრავალმხრივ ინსტიტუტებში და პარტნიორობის დამყარება რეგიონის ძლიერ სახელმწიფოებთან. ჩინეთი ხედავს, რომ მულტილატერალიზმს შეუძლია გააქარწყლოს ის გავრცელებული შიში, რაც მზარდ ჩინეთთან არის დაკავშირებული. ასევე, რეგიონის სახელმწიფოებთან მჭიდრო პარტნიორობა დაეხმარება ჩინეთს შესაძლო სამომავლო გამოწვევების დაბალანსებაში (GoldsteinAvery, 2005).

ამრიგად, ეს სტრატეგიული მიმართულებები მიზნად ისახავს „ჰარმონიული სამყაროს“ იდეის პოპულარიზაციას, რაც ხელს უწყობს ჩინეთის მშვიდობიანად გაძლიერებას. ჰარმონიული სამყაროს მისაღწევად, პირველ რიგში, ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია საკუთარ რეგიონში უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დამყარებული სისტემის წახალისება. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, 1997 წელს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის სამუშაო ანგარიშში პირველად გამოჩნდა ტერმინი „მულტიპოლარიზმი“. ჩინეთის ლიდერმა, ძიან ძემინმა თქვა, რომ ჩინეთმა უნდა „აქტიური მონაწილეობა მიიღოს მრავალმხრივ დიპლომატიურ აქტივობებში“ და გაზარდოს ჩინეთის როლი ამ ორგანიზაციებში. ამის შემდეგ, მულტილატერალიზმი ჩინეთის ყველა მომდევნო ანგარიშში არის ნახსენები.

ჩინეთის ყოფილმა ლიდერმა ძიან ძემინმა თქვა, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად სხვადასხვა რეგიონული და კონტინენტაშორის ორგანიზაციები უფრო აქტიურები ხდებიან, რაც ხელს უწყობს მულტიპოლარული სამყაროს ჩამოყალიბებას. განცხადებიდან ჩანს, რომ ჩინეთის წარმოდგენით, მულტილატერალიზმი მულტიპოლარულობის მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მოიაზრებოდა. 2001 წელს სამხედრო მაღალჩინოსნებთან შეხვედრისას ძიანმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ინსტიტუტებში მონაწილეობა ჩინეთს მანევირების მეტ თავისუფლებას შესძენს: „ჩვენ უნდა უნდა ვფოკუსირდეთ სტრატეგიული სივრცის გავრცელებასა და მულტილატერალური დიპლომატიის განვითარებაზე. აქტიური

მულტილატერალური დიპლომატია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი სტრატეგიული ვითარების გაუმჯობესებაში“ (Doshi, 2021, p. 111). ამრიგად, 2004 წლიდან, ტერმინი „თანამშრომლობა“, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად იქცა.

ჩინეთის სტრატეგია, იქცეს აქტიურ რეგიონულ მოთამაშედ გამოიხატა მის მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) და აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკურ თანამშრომლობაში (APEC) გაწევრიანებით. ამავდროულად, ჩინეთმა საფუძველი ჩაუყარა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას (SCO) და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციასთან (ASEAN) მჭიდრო პარტნიორობით.

APEC-ის ფორუმი 1989 წელს დაარსდა და შედგება წყნარი ოკეანის 21 ქვეყნისგან, ხოლო მისი მიზანია ამ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარება. ვუ სინპოს მიხედვით, ჩინეთის ჩართვა რეგიონალიზმში სწორედ APEC-ში გაწევრიანებით დაიწყო. 2006 წელს, ჰუ ძინტაომ განაცხადა, რომ ჩინეთმა „უნდა გააძლიეროს მულტილატერალიზმი და დემოკრატიზაციის პროცესი საერთაშორისო ურთიერთობებში“. ვუს მიხედვით, ჩინეთის მზაობა მონაწილეობა მიიღოს ტრანს-წყნარი ოკეანეთის ფორუმებში განპირობებული იყო აზიის საკითხებში ჩინეთის როლის გაზრდის სურვილით. სწორედ ამიტომ, ვუს აზრით ჩინეთი აქტიურად მონაწილეობდა APEC-ში და ასევე ცდილობდა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მნიშვნელობის გაზრდას. (Wu X. , 2009, p. 64). ჯოშუა კურლანზიკი ჩინეთის სტრატეგიას უწოდებს „გავლენის მოპოვება არა ძალის გამოყენებით, არამედ დარწმუნებით“ (KurlantzickJoshua, 2006).

ამავე საკითხზე რაშ დოში წერს, რომ ჩინეთის მულტილატერალურ ორგანიზაციებში მონაწილეობის მთავარი მოტივატორი არა ეკონომიკური სარგებლის მიღება, არამედ აშშ-ს გავლენის შეკავება იყო. ჩინეთის პირველი წარმომადგენელი APEC-ში, ვანგ იუშენმა აღნიშნა, რომ ჩინეთს ეშინოდა, ორგანიზაცია, რომლის ლიდერადაც ის აშშ-ს აღიქვამდა, საბოლოოდ გახდებოდა აზიაში ამერიკული ჰეგემონიის დამკვიდრების ინსტრუმენტი, რაც ეკონომიკური ლიბერალიზაციის, ადამიანის უფლებებისა და აშშ-ის ხელმძღვანელობით მრავალმხრივი უსაფრთხოების სტრუქტურის წახალისებას ემსახურებოდა. შესაბამისად, ეს

აღიქმებოდა, როგორც აშშ-ის „ახალი წყნარი ოკეანეთის“ (New Pacifism) პოლიტიკა (Doshi, 2021, p. 113).

ჩინეთის ასეთი აღქმა გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ პრეზიდენტ კლინტონის მიერ ტოკიოში, სამხრეთ კორეასა და სიეტლში, APEC-ის ლიდერების შეხვედრაზე გაკეთებული განცხადებებს, სადაც მან ხაზი გაუსვა აშშ-ს სურვილს, ხელი შეუწყოს „ახალი წყნარი ოკეანეთის საზოგადოების“ ჩამოყალიბებას და რომ აზიაში აშშ-ის დღისწესრიგი ითვალისწინებდა „საერთო კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიის მიმართულებით ერთიან ძალისხმევას“ (Clinton William, 1993).

ჩინეთმა, როგორც ASEAN-ის პარტნიორმა სახელმწიფომ ხელი შეუწყო დამატებით მრავალმხრივ პლატფორმების შექმნას, როგორცაა ASEAN Plus Three (APT) და The East Asia Summit (EAS). აღნიშნული პლატფორმების მიზანი იყო ჩინეთის დაახლოვება აზიის სახელმწიფოებთან, ხოლო მათი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულება აშშ-ზე შემცირებულიყო.

ოთხმხრივი უსაფრთხოების დიალოგი, რომელიც შედგება აშშ-ის, იაპონიის, ინდოეთისა და ავსტრალიისგან (QUAD) და ავსტრალიას, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ს შორის სამხრეთი თავდაცვითი შეთანხმება (AUKUS) საფრთხეს უქმნის ჩინეთის აქტიურ პოლიტიკას სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვებში. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი მათგანი თავისი არსით სამხედრო ალიანსები არ არიან, QUAD-ის ოთხივე წევრმა 2020 წლის ნოემბერში პირველი ერთიანი საზღვაო წრთვნები ჩაატარეს, ხოლო აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ აღნიშნა, რომ ვაშინგტონის მიზანია QUAD-ის „ინსტიტუციონალიზაცია“ და „ჭეშმარიტი უსაფრთხოების სტრუქტურის შექმნა“, ისევე, როგორც ალიანსის გაფართოება, რათა ის დაუპირისპირდეს ჩინეთის კომუნისტური პარტიისგან მომდინარე გამოწვევებს“. ჩინეთის აღქმით, ორივე ორგანიზაცია შესაძლოა სამომავლოდ აზიური NATO-ს ჩამოყალიბების წინაპირობა გახდეს (Rudd, 2021). საპასუხოდ, სი ძინპინმა 2022 წელს წარმოადგინა „გლობალური უსაფრთხოების ინიციატივა“, რომლითაც სახელმწიფოებს მოუწოდებს ერთიანი ნაბიჯების გადადგმისკენ საერთო

უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და სახელმწიფოებს შორის უთანხმოებების მშვიდობიანად გადასაწყვეტად.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვანგ იმ ჩინურ მედიაში გამოაქვეყნა სტატია, სადაც გლობალური უსაფრთხოების ინიციატივის მიზეზად რეგიონში მშვიდობის დეფიციტი დაასახელა და ყურადღება გაამახვილა რეგიონულ ალიანსებზე, როგორცაა QUAD და AUKUS და აღნიშნა, რომ „ზოგიერთ ქვეყანა ცდილობს ჩაეჭიდოს ცივი ომის დროინდელ მენტალიტეტს და ცდილობენ ჩაერთონ ექსკლუზიურ „მცირე ელიტარულ ჯგუფებში“, რომლებიც მულტილატერალიზმის ეგიდით ცდილობენ უნილატერალიზმის, ხოლო დემოკრატიის სახელით ჰეგემონიის წახალისებას“ (Global Times, 2022).

ჩინეთის პარალელურად, 2012 წელს ობამას ადმინისტრაციამ წარადგინა ახალი „სამიზნე წერტილი აზიაზე“ (Pivot to Asia) სტრატეგია, რომლის მიზანიც აღმოსავლეთ აზიის რეგიონში აშშ-ის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ზრდა იყო. 2016 წელს იაპონიის პრემიერ-მინისტრმა, შინჯო აბემ საფუძველი ჩაუყარა „თავისუფალი და ღია ინდოეთისა და წყნარი ოკეანის“ იდეას, რომელიც ოთხი საყრდენისგან შედგებოდა: რეგიონში კანონის უზენაესობის დამყარება; ნაგევაციის თავისუფლება და თავისუფალი ვაჭრობა; ეკონომიკური კეთილდღეობისკენ სწრაფვა; მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება. მას შედმეგ ეს კონცეფცია აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტებშიც ჩანს, როგორც აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი აზიის რეგიონში და აღნიშნულია, რომ მისი ერთ-ერთი მიზანი ჩინეთის აგრესიული ქცევის შეკავებაა.

ჩინეთის მიერ გატარებული რეგიონული პოლიტიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ რა პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერიტორიული, ენერგეტიკული თუ უსაფრთხოების უთანხმოებაც არ უნდა არსებობდეს, ჩინეთი მაქსიმალურად ცდილობდა, რეგიონის მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა არ გაეფუჭებინა და პრობლემების მშვიდობიანად მოგვარებინა.

3.2. ტაივანის საკითხის მოგვარება

ეკონომიკურ გაძლიერებასთან ერთად ჩინეთის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი რეგიონში საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ჩინეთის კომუნისტური პარტიის XX სამუშაო ანგარიშში საერთაშორისო მდგომარეობა აღწერილია, როგორც „სტრატეგიული შესაძლებლობების, რისკებისა და გამოწვევების თანაარსებობის“ პერიოდი (Xi, 2022). სი ძინპინმა პარტიის მე-20 კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ჩინეთი მიიწევს პერიოდისკენ, სადაც მატულობს „გაურკვევლობისა და წინასწარ განუჭვრეტადი ფაქტორები“. შესაბამისად ჩინეთი მზად უნდა იყოს გაუძლოს ნებისმიერ გამოწვევას, მათ შორის მოვლენების ყველაზე ცუდი სცენარით განვითარების შემთხვევაშიც კი.

რაც შეეხება ტაივანს, სი ძინპინი პირველად ახსენა ჩინეთის მზაობა, ტაივანის გაერთიანებას ძალის გამოყენებით მიაღწიოს. სის თქმით, ჩინეთი გულითადად და მთელი ძალისხმევით გააგრძელებს მშვიდობიანი გაერთიანებისკენ სწრაფვას, მაგრამ არასდროს დადებს პირობას, რომ უარს იტყვის ძალის გამოყენებაზე და დაიტოვებს შესაძლებლობას, გამოიყენოს ყველა საჭირო საშუალება” (Xi, 2022). სიმ ხაზი გაუსვა, რომ ეს უკანასკნელი მიემართება ტაივანის დამოუკიდებლობის მომხრე სეპარატისტებსა და იმ „გარე ძალებს“, რომლებიც ცდილობენ ამ საკითხში ჩარევას. ჩინეთი არასდროს უთქვამს უარი ტაივანთან გაერთიანებისთვის ძალის გამოყენებაზე, მაგრამ ოფიციალურ განცხადებებში მაღალჩინოსნები ძირითადად ყურადღებას ჩინეთის „მშვიდობიან გაერთიანებაზე“ ამახვილებდნენ. ამ მხრივ, პარტიის XX ყრილობაზე სის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში გამოყენებული რიტორიკა პირდაპირი მუქარა იყო ტაივანის ხელისუფლების, აშშ-სა და სხვა პრო-ამერიკული ძალების მიმართ, რომლებიც ტაივანის საკითხში „ჩარევას“ გადაწყვეტენ. ბოლო ანგარიშიდან ჩანს, რომ ჩინეთი მეტ ყურადღებას უთმობს რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევებს,

3.3. კორეის ნახევარკუნძულის მნიშვნელობა ჩინეთის რეგიონული ინტერესებისთვის

კორეის ნახევარკუნძულს ჩინეთის რეგიონული ინტერესებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. კორეის ნახევარკუნძულს მისი მდებარეობის გამო საუკუნეების მანძილზე ჩინეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მტრული ძალების შესაკავებლად. ამის ნათელი მაგალითია 1592-1598 წლების იმჯინის ომები, რა დროსაც იაპონიის მიზანი ჩინეთში შეჭრა იყო, თუმცა, იაპონური ძალები კორეის ნახევარკუნძულზე დამარცხდნენ და ჩინეთამდე ვერ მიაღწიეს.

2006 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, ფუდანის უნივერსიტეტის პროფესორი შენ დინგლი წერს, რომ მაშინ, როდესაც აშშ და ჩინეთი ეკონომიკურად თანამშრომლობენ, ისინი მეტოქეები არიან უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებში, პირველ რიგში, აშშ-ის მიერ ტაივანთან გაფორმებული „ტაივანთან ურთიერთობის აქტის“ გამო, რაც აშშ-ტაივანის ურთიერთობების განვითარებას არაფორმალურად უწყობს ხელს და ხშირ შემთხვევაში „ერთი ჩინეთის“ პრინციპს ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, შენი წერს, რომ ჩრდილოეთ კორეა წარმოადგენს ჩინეთის სატელიტს. ექვსი მხარის მოლაპარაკებების ძალისხმევის მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეა ოფიციალურად გახდა ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფო, რაც, ჩინეთისთვის უფრო მეტი სარგებლის მომტანია, ვიდრე ზიანის. ბირთვული ჩრდილოეთ კორეა დამატებით პრობლემას წარმოადგენს აშშ-სთვის, თუ ის გადაწყვეტს სამხედრო ზომების მიღებას ჩრდილოეთ კორეის, ან ტაივანის სრუტის მახლობლად.

შენის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ კორეა აშშ-სთან მშვიდობის შეთანხმების სანაცვლოდ დათმობს ბირთვულ იარაღს და გახდება „აზიის ლიბია“, ეს დააზიანებს ჩინეთის ინტერესებს, რადგან სამხრეთ კორეასთან და იაპონიასთან ერთად აშშ-ის ალიანსს ჩრდილოეთ კორეაც დაემატება, ხოლო ჩინეთის ერთ-ერთი მთავარი მიზნის მიღწევა, ტაივანთან გაერთიანება ბევრად უფრო რთულ ამოცანად იქცევა (ShenDingli, 2006).

მართლაც, ჩინეთს ჩრდილოეთ კორეასთან 1400 კილომეტრიანი საზღვარი აკავშირებს, შესაბამისად, სტრატეგიულად ჩრდილოეთ კორეა ჩინეთისთვის მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობა აქვს და გამყოფია ჩინეთს, სამხრეთ კორეასა და იაპონიას შორის, სადაც ერთად 80 000-მდე ამერიკელი სამხედროა. ეს საშუალებას აძლევს ჩინეთს, შეამციროს სამხედრო განლაგება ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და ეს რესურსი მიმართოს ტაივანის პრობლემის მიმართ. ამავდროულად, ჩინეთს შეუძლია ბირთვულად შეიარაღებული ჩრდილოეთ კორეა საჭიროების შემთხვევაში ტაივანის მიმართ აშშ-ის პოტენციური აგრესიის შესაკავებლად გამოიყენოს, რადგან აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში აშშ-ის სამხედრო გაძლიერება ჩრდილოეთ კორეის უსაფრთხოების ინტერესებთანაც მოდის წინააღმდეგობაში. ახლანდელი მოცემულობით, ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის გაფორმებული საერთო დახმარებისა და თანამშრომლობის შეთანხმებით, ჩინეთი ვალდებულია სამხედრო დახმარება გაუწიოს ჩრდილოეთ კორეას, თუ მას თავს დაესხმებიან და ჩინეთს ამის მზაობა არაერთხელ დაუფიქსირებია ოფიციალურ განცხადებებში. აღნიშნული შეთანხმება ჩინეთს აძლევს საშუალებას, ბირთვული ჩრდილოეთ კორეა გამოიყენოს ტაივანის სრუტეში აშშ-ის სამხედრო გავლენის შესაკავებლად. ამავდროულად, დიპლომატიური მანევრებით, ჩინეთს შეუძლია გამოიყენოს ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობა სხვა რეგიონალურ მოთამაშეებზე, მათ შორის აშშ-ზე, ბერკეტების მოსაპოვებლად. ჩინეთს შეუძლია დათანხმდეს ჩრდილოეთ კორეაზე მეტი ზეწოლის განხორციელებაზე, იმ პირობით, თუ აშშ ითანამშრომლებს იმ რეგიონულ საკითხებზე, რაც ჩინეთისთვის პრიორიტეტულია. ამის მაგალითი იყო 2004 წელს, როდესაც ექვსი მხარის მოლაპარაკებებში ბუშის ადმინისტრაცია დათანხმდა არ აპყლოდა ტაივანის ყოფილ პრეზიდენტს ჩენ შუიბიანს, დამოუკიდებლობის შესახებ ლაპარაკში, სანაცვლოდ, ჩინეთი მთელს თავის ძალისხმევას ჩადებდა, რათა ჩრდილოეთ კორეა მოლაპარაკებებიდან არ წასულიყო (Zhu & Beauchamp-Mustafaga, 2015, p. 51).

ჩინეთის რეგიონული მიზნების მისაღწევად ასევე მნიშვნელოვანია სამხრეთ კორეასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება. ამის შესახებ დენ სიაოპინმა 1985 წლის აპრილში, ჩინეთსა და სამხრეთ კორეას შორის დიპლომატიური ურთიერთობის საჭიროების

განხილვისას აღნიშნა, რომ „პირველ რიგში, ჩინეთს შეუძლია ივაჭროს სამხრეთ კორეასთან, რაც ორივე ქვეყნის ეკონომიკას წაადგება. შემდეგ, სამხრეთ კორეამ უნდა გაწყვიტოს დიპლომატიური კავშირები ტაივანთან. დენმა ასევე თქვა, რომ „ჩინეთი უდაოდ სარგებელს მიიღებს სამხრეთ კორეასთან ურთიერთობით. ეს ასევე დაეხმარება ჩინეთის გაერთიანებას“ (Hexiu, 2015, p. 151). სწორედ 1980-იან წლებში ჩინეთსა და სამხრეთ კორეას შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირებს ჩაეყარა საფუძველი, ხოლო 1992 წელს მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. დღესდღეობით ჩინეთი სამხრეთ კორეის მთავარი სავაჭრო პარტნიორია.

აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ აზიაში მიმდინარეობს აშშ-სა და ჩინეთს შორის გავლენისთვის ბრძოლა, იქნება ეს ეკონომიკური თუ უსაფრთხოების მიმართულებით. ამ მხრივ, ჩინეთის ინტერესებისთვის, საკუთარი გავლენა გაზარდოს სამხრეთ და აღმოსავლეთ ზღვებსა და ტაივანის სრუტეში, მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ კორეის, როგორც მოკავშირისა და სატელიტის შენარჩუნება, ამავდროულად, ჩინეთს სჭირდება რეგიონში მშვიდობიანი და სტაბილური გარემოს შენარჩუნება, რათა არ მოხდეს მის მიერ წლობით ნაშენები რეპუტაციისა და ეკონომიკური კავშირების დაზიანება და ჩინეთის იზოლაციაში მოქცევა, როგორც ეს 1989 წელს, ტიანანმენის სასტიკი დარბევის შემდეგ, ან 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყებისას მოხდა.

თავი IV. ჩინეთის შიში

წინა თავში განვიხილეთ ჩინეთის ინტერესები აღმოსავლეთ აზიის რეგიონში 1980-იანი წლებიდან მოყოლებული. დენ სიაოპინმა ფაქტიურად მთლიანად შეცვალა ქვეყანა და მათი ძედუნის მკაცრად კომუნისტური და იზოლაციური ჩინეთი დააყენა ეკონომიკური განვითარების გზაზე, რამაც ქვეყნის გარე სამყაროსთვის გახსნა გამოიწვია. ცივი ომის დასრულების შემდეგ, როდესაც საერთაშორისო სისტემა შეიცვალა და აშშ გლობალურ ჰეგემონი გახდა, ჩინეთი მთავარ მეტოქედ უკვე არა საბჭოთა კავშირს, არამედ აშშ-ს მოიაზრებდა. ეს მოსაზრება დროის მანძილზე არა თუ არ შეცვლილა, არამედ, დღესდღეობით უკვე ფაქტია, რომ ჩინეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია აშშ-ს ჰეგემონობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. ჩინეთი დენ სიაოპინის რეფორმებიდან მოყოლებული საკუთარი მიზნების მიღწევას, პირველ რიგში, ეკონომიკის გაძლიერებით, სავაჭრო კავშირების განვითარებითა და მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებში საკუთარი პოზიციების გაძლიერებით ცდილობს. ასევე, იმისთვის, რათა შეცვალოს საერთაშორისო სისტემაში ძალთა ბალანსი და აშშ-ს გლობალურ ჰეგემონობას კონკურენცია გაუწიოს, პირველ რიგში, ჩინეთმა უნდა მიაღწიოს საკუთარ რეგიონულ მიზნებს, რაც გულისხმობს ტაივანთან გაერთიანებას და კონტროლის დამყარებას სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვებში.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ ჩინეთის პოლიტიკა პირდაპირ დაკავშირებულია მის რეგიონულ ინტერესებთან. იმისთვის, რომ ავხსნათ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ ჩინეთის პოლიტიკის თავისებურებები, საჭიროა ვიცოდეთ მთავარი „შიში“, რაც ჩინეთს აქვს ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან მიმართებით. როგორც პირველ თავში ისტორიული მიმოხილვისას განვიხილეთ, ჩინეთი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარების და ეს გამოიხატებოდა მის განცხადებებსა და ქმედებებში. განსაკუთრებით, 2003-2008 წლის „ექვსი მხარის“ მოლაპარაკებებში, რომლის მასპინძელიც იყო ჩინეთი და ასევე ერთ-ერთ

ყველაზე აქტიურ როლს ასრულებდა. თუმცა, მიუხედავად ჩინეთის გაცხადებული უარყოფითი პოზიციისა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ, ხშირად ისმის ბრალდება, რომ ჩინეთი საკმარისად არ იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, რათა ზეწოლა მოახდინოს ჩრდილოეთ კორეაზე და აიძულოს ის, უარი თქვას ბირთვული პროგრამის განვითარებაზე. ამ თავის მიზანია ჩინეთის რეგიონულ ინტერესებზე დაყრდნობით განმარტოს ის მთავარი „შიში“, რაც განაპირობებს ჩინეთის პოლიტიკას ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ.

„არა ომს, არა ქაოსს, არა ბირთვულ შეიარაღებას“

ჩინეთის პრეზიდენტმა, სი ძინპინმა პირად შეხვედრაზე აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან და შემდეგ დონალდ ტრამპთანაც ხაზი გაუსვა ჩინეთის ფუნდამენტურ ინტერესებს კორეის ნახევარკუნძულის მიმართ: „არა ომს, არა ქაოსს, არა ბირთვულ შეიარაღებას“. სი ძინპინის მიერ ლაკონურად თქმული „სამი არა“-ს პრინციპი კარგად აღწერს ჩინეთის პოლიტიკას ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ და ის პირდაპირ დაკავშირებულია ჩინეთის გლობალურ და რეგიონულ ინტერესებთან. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მესამე „არა“ გულისხმობს ბირთვულ განიარაღებას, „არა ქაოსს“ და „არა ომს“ უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია ჩინეთის ეროვნული ინტერესებისთვის და ეს არის ის მთავარი ფაქტორი, რითიც აიხსნება ჩინეთის მიერ წარმოებული პოლიტიკა.

4.1. არა ომს

კორეის ომის დასრულებიდან დღემდე ბევრი შემთხვევა იყო, როდესაც კორეის ნახევარკუნძულზე სამხედრო მოქმედებების ხელახლა წამოწყების საფრთხე აქტიურად განიხილებოდა. ამას ისიც მოწმობს, რომ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების გაფორმების მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა სამშვიდობო შეთანხმების დადება და ომის ფორმალურად დასრულება. ეს იმის ნიშანია, რომ კორეის ნახევარკუნძულზე საომარი მოქმედებების განახლება არასდროს არის გამორიცხული.

ჩინეთმა ეს ძალიან კარგად იცის და მისი გეოპოლიტიკური ამბიციების გათვალისწინებით, მის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად 1990-იანი წლებიდან მოყოლებული კორეის ნახევარკუნძულზე ომის თავიდან არიდებაა, ვინაიდან ეს წინააღმდეგობაში მოდის დენ სიაოპინის შემუშავებულ *Tao Guang Yang Hui*, ანუ შესაძლებლობების დამალვისა და დალოდების პოლიტიკასთან. ჩინეთის მცდელობების მიუხედავად, არაერთხელ გაჩნდა ომის დაწყების რეალური შანსები. მათგან ყველაზე თვალსაჩინო იყო 2010 წელს, როდესაც ყვითელ ზღვაში ჩრდილოეთ კორეის წყალქვეშა გემი თავს დაესხა და ჩაძირა სამხრეთ კორეული სამხედრო გემი. აღნიშნულ ინციდენტს 46 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. რამდენიმე თვეში, ჩრდილოეთ კორეამ სარაკეტო თავდასხმა მიიტანა სამხრეთ კორეის კუნძულ იონგფიონგზე, რასაც 20 ადამიანი, მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლეობა ემსხვერპლა. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კორეამ თავშეკავება გამოიჩინა და საპასუხო თავდასხმა არ მიიტანა ჩრდილოეთ კორეაზე, ნებისმიერი ასეთი შემთხვევა ომს რეალურს ხდის, რა დროსაც აშშ-სა და ჩინეთს მოუწევთ სერიოზულად დაფიქრება, შეასრულონ თუ არა მათ მიერ გაფორმებული საერთო თავდაცვის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები და დახმარება გაუწიონ მათ პარტნიორებს. ამასთან ერთად, პრობლემას ქმნის ჩრდილოეთ კორეასა და ჩინეთს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა. პოლიტიკურად ხისტი ნაბიჯების გადადგმამდე ჩრდილოეთ კორეა მის ერთადერთ პარტნიორთან, ჩინეთთან კონსულტაციებს არ გადის. ეს გამოჩნდა ჩრდილოეთ კორეის პირველი და მეორე ბირთვული ცდების დროს, როდესაც მათ ჩინეთი მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე გააფრთხილეს. ჩრდილოეთ კორეის არაპროგნოზირებადი ქმედებები რისკს აჩენს, რომ ვითარების დესტაბილიზაციის შემთხვევაში ჩინეთის ხელმძღვანელობას მსჯელობისთვის მცირე დრო ექნებათ და გადაწყვეტილებაც დაჩქარებული იქნება, რაც პეკინს შესაძლოა ძვირად დაუჯდეს (Feng & Beauchamp-Mustafaga, 2015, p. 46).

ასევე, კორეის ნახევარკუნძულზე ომის დაწყება დიდ ზიანს მიაყენებს ჩინეთის ეკონომიკურ ინტერესებს. მკვლევარს, ანუ ვუს 2005 წლის სტატიაში „რას ჩასჩურჩულებს ჩინეთი ჩრდილოეთ კორეას“ მითითებული მონაცემებით აშშ-ჩრდილოეთ კორეის ომის

შედეგად ჩინეთის ეკონომიკური განვითარების 10-20%-ით შემცირება იყო მოსალოდნელი (Wu A. , 2005, p. 37).

ასევე, ჩინეთი უფრო ხილდება მის ურთიერთობას სამხრეთ კორეასთან. როგორც ნაშრომის მეორე თავში განვიხილეთ, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ჩინეთსა და სამხრეთ კორეას მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვთ. 1995-2021 წლებში სამხრეთ კორეიდან ჩინეთში ექსპორტი წლიურად 11.4%-ით იზრდებოდა. 1995 წელს სამხრეთ კორეის ექსპორტმა ჩინეთში 9.5 მილიარდო ამერიკული დოლარი შეადგინა, ხოლო 2021 წელს 158 მილიარდი. ანალოგიურად, იმავე წლებში ჩინეთიდან სამხრეთ კორეაში ექსპორტი წლიურად 12%-ით იზრდებოდა და 2021 წელს სამხრეთ კორეაში ჩინეთის ექსპორტმა 140 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (The Observatory of Economic Complexity). დღევანდელი მდგომარეობით, სამხრეთ კორეისთვის ჩინეთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია, ხოლო ჩინეთისთვის სამხრეთ კორეა მეოთხეა. სამხრეთ კორეის ეკონომიკური დამოკიდებულება ჩინეთზე ამ უკანასკნელისთვის ერთგვარი პოლიტიკური ინსტრუმენტიც არის. 2016 წელს ჩინეთმა ეკონომიკური სანქციები დაუწესა სამხრეთ კორეას, მას შემდეგ რაც სამხრეთ კორეამ საკუთარ ტერიტორიაზე აშშ-ს მაღალი სიმაღლის ტერმინალური საჰაერო თავდაცვის სისტემების (THAAD) განთავსების გადაწყვეტილება მიიღო. სანქციებმა დიდი ეკონომიკური ზიანი მიაყენა სამხრეთ კორეის მომსახურების სექტორსა და მის ექსპორტს ჩინეთში. საბოლოოდ, თითქმის ერთწლიანი დამაბული ურთიერთობის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ სანქციების მოხსნის სანაცვლოდ, სამხრეთ კორეა აღარ განათავსებდა დამატებით ანტისარაკეტო სისტემებს საკუთარ ტერიტორიაზე (McGregorMatt, 2017). ეს შემთხვევა აჩვენებს, რომ ჩინეთისთვის ეკონომიკური მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა სამხრეთ კორეასთან საჭიროების შემთხვევაში საკუთარი უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად სჭირდება. შესაბამისად, ნათელია, რომ ეკონომიკურად ჩინეთისთვის სამხრეთ კორეა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორია, ვიდრე ჩრდილოეთ კორეა, ხოლო კორეის ნახევარკუნძულზე ომის დაწყება დიდ ზიანს მიაყენებს მათ შორის ათწლეულების მანძილზე ნაშენებ ეკონომიკურ ურთიერთობას.

ომის დაწყების შიშის რეალურობას ასევე ადასტურებს ისიც, რომ ჩინელი მკვლევარები წლებია აქტიურად საუბრობენ სამხედრო ალიანსის შეთანხმების გაუქმებაზე ან მისი პირობების შეცვლაზე. თუმცა, 2021 წელს ჩინეთმა და ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ერთხელ განაახლეს ეს შეთანხმება, რაც მიანიშნებს, რომ არსებულ მომენტში ჩინეთისთვის ჩრდილოეთ კორეის სატელიტად შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე მისგან დისტანცირება.

4.2. არა ქაოსს

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც განსაზღვრავს ჩინეთის პოლიტიკას ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ არის რეჟიმის ჩამოშლის შიში. ამ მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე აშშ და ჩინეთი ემხრობა კორეის ნახევარკუნძულის ბირთვულ განიარაღებას, მათი დამოკიდებულება სანქციების მიმართ რადიკალურად განსხვავდება. ჩინეთს სურს ნახევარკუნძულზე სტატუს-კვოს შენარჩუნება, ხოლო აშშ უკმაყოფილოა არსებული მოცემულობით და სურს ბირთვულ განიარაღებასთან ერთად ასევე იხილოს რეჟიმის ცვლილება. ჩინეთისთვის, მოვლენების ამ მიმართულებით განვითარებამ შესაძლოა მის პოლიტიკურ სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოებას ზიანი მიაყენოს (Guoliang, 2015, p. 170).

მიგრაცია. ჩრდილოეთ კორეაში რეჟიმის ჩამოშლამ შესაძლოა მასობრივი მიგრაცია გამოიწვიოს ჩრდილოეთ კორეიდან ჩინეთში. ორი ქვეყანა ერთმანეთთან 1400 კილომეტრიანი საზღვრით არიან დაკავშირებული. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ კორეაში ვითარების დესტაბილიზაცია მოხდა, არსებობს საფრთხე, რომ ჩრდილოეთ კორეის 25 მილიონიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ჩინეთისკენ დაიძრება. 2012 წელს მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ჩინეთის სახალხო არმიამ ჩაატარა სამხედრო წრთვები ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში ჩრდილოეთ კორეის საზღვრებთან, რაც სავარაუდოდ ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის ჩამოშლისთვის მზადებასთან იყო კავშირში. ასევე, იმავე წელს, ჩინეთმა ჩრდილოეთ კორეის საზღვრებთან მყოფ

ლიაოლინგისა და ძილინის რეგიონებში წამოიწყო 10 მილიარდი ამერიკული დოლარის ოდენობის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა მიზანიც, გავრცელებული ინფორმაციით, საჭიროების შემთხვევაში ჩინეთის შეიარაღებული ძალების ჩრდილოეთ კორეაში მარტივი გადაყვანაა. ამას ასევე ემატება 2014 წელს გაჟონილი დოკუმენტები, რომელშიც ჩინეთის ხელისუფლების მიერ განიხილება ჩრდილოეთ კორეიდან წამოსულ მიგრანტთა ნაკადთან გამკლავების გეგმები (Daily NK, 2014). ამ და კიდევ მრავალი სხვა გავრცელებული ინფორმაციაზე დაყრდნობით აშკარაა, რომ შესაძლო მიგრანტთა კრიზისი ჩრდილოეთ კორეის საზღვრებთან მყოფი ჩინეთის რეგიონების ეკონომიკისა და სოციალური სტაბილურობისთვის გამოწვევაა, რაც ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის ჩამოშლასთან არის დაკავშირებული.

ჩრდილოეთ კორეის, როგორც სატელიტის დაკარგვა. 2017 წელს, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ ორ წელიწადში რეკორდული 3 ბირთვული გამოცდა ჩაატარა და დამაბულობა აშშ-სთან ომის ზღვარზე იყო მისული, ჩინურ მედიაში აქტიურად დაიწყო საუბარი ჩინეთის როლზე შესაძლო სამხედრო დაპირისპირებაში. ჩინეთის მთავრობის მიერ კონტროლის ქვეშ მყოფ *The Global Times*-ში გამოქვეყნდა სტატია, სადაც საუბარია, რომ ჩინეთმა გარკვევით უნდა დააფიქსიროს პოზიცია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ კორეა თავდასხმით საფრთხეს შეუქმნის აშშ-ს ტერიტორიას, ჩინეთი დარჩება ნეიტრალური, ხოლო თუ სამხრეთ კორეა და აშშ შეეცდებიან თავდასხმის განხორციელებას ჩრდილოეთ კორეაზე და რეჟიმის დამხობას, ჩინეთი მათ ამის საშუალებას არ მისცემს. აღნიშნული პოზიციიდან ჩანს, რომ ჩინეთი ცდილობს გააფრთხილოს ჩრდილოეთ კორეა, რომ მისი მხრიდან აგრესიის შემთხვევაში მას ჩინეთის მფარველობის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, ხოლო ამავდროულად ეს არის გზავნილი აშშ-სთვის, რომ ჩინეთი არ დაუშვებს ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის დამხობასა და ნახევარკუნძულზე სტატუს-კვოს შეცვლას.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობა აღნიშნულ მედიას ხშირად საკუთარი პოზიციების არაოფიციალურად გამოხატვისთვის იყენებს, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ეს საკითხი ჩინეთის პოლიტიკურ ელიტაში ერთ-ერთი ფართოდ განხილული თემაა.

ჩრდილოეთ კორეასთან რთული ურთიერთობის მიუხედავად, ფაქტია, რომ კორეის ნახევარკუნძულზე სტაბილურობას ჩინეთისთვის სტრატეგიულად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი მოცემულობით, აღმოსავლეთ აზიის რეგიონის მთავარ სახელმწიფოებს: სამხრეთ კორეას, იაპონიასა და ტაივანს უსაფრთხოების სფეროში მჭიდრო კავშირები აქვთ აშშ-სთან. სამხრეთ კორეასა და იაპონიაში ჯამში 70 000-მდე ამერიკელი სამხედროა. რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც არ აქვს ახლო კავშირები აშშ-სთან არის ჩრდილოეთ კორეა. აქედან გამომდინარე, ადვილი გამოსაცნობია, რატომ შეიძლება მიაჩნდეს ჩინეთის მმართველ ელიტას, რომ ჩრდილოეთ კორეაზე გავლენის შენარჩუნება მათ ეროვნულ ინტერესებში შედის. ჩინეთისთვის ჩრდილოეთ კორეა წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სატელიტ სახელმწიფოს. ამიტომ, ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის არაპროგნოზირებადი ქცევის მიუხედავად, ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია კორეის ნახევარკუნძულზე სტატუს-კვოს შენარჩუნება ისე, რომ 38-ე პარალელის ზემოთ აშშ-ს გავლენა არ გაიზარდოს და საკუთარი არ შემცირდეს.

ჩინეთის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი მიზანია ხელი შეუშალოს აღმოსავლეთ აზიის რეგიონში აშშ-ს გავლენის ზრდას და ამავდროულად საკუთარი გავლენა გაზარდოს კორეის ნახევარკუნძულზე. ამრიგად, მას ეძლევა საშუალება ჩრდილოეთ კორეის ბირთვული საკითხი რეგიონში აშშ-ის სამხედრო ძალის შემცირებისთვის გამოიყენოს. ჩინეთი ხშირად იყენებს არგუმენტად, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ საკითხზე წინსვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ჩრდილოეთ კორეის რეჟიმი აშშ-სგან მომდინარე საფრთხეს აღარ იგრძობს. სწორედ ამიტომ, 2016 წლიდან ჩინეთის ოფიციალურ განცხადებებში დომინირებს „Dual-track“ მიდგომა, რომელიც გულისხმობს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული და სარაკეტო ცდების შეჩერების პარალელურად აშშ-სამხრეთ კორეის სამხედრო წრთვების შეჩერებას. აჯოუს უნივერსიტეტის ჩინეთის პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი, კიმ ჰიონგ კიუ თავის სტატიაში ჩინეთის თვითაღქმის ოთხ მთავარ პერიოდს გამოყოფს: ტრადიციული გეოპოლიტიკის პერიოდი 1993-2002 (Traditional Geopolitics school), განვითარებადი ქვეყნის პერიოდი 2003-2012

(Developing Country school), აღმოცენებად დიდ სახელმწიფოს პერიოდი 2010-2017 (Newly rising great power school) და დიდ სახელმწიფოს პერიოდი (Great power school) 2018-დან დღემდე. კიმის კლასიფიკაციის მიხედვით, სი ძინპინის პერიოდში ჩინეთში ძირითადად გაბატონებულია ჩინეთის, როგორც აღმოცენებადი დიდი სახელმწიფოსა და დიდი სახელმწიფოს თვითაღქმა. ამ უკანასკნელის მიხედვით ჩინეთი არის დიდი სახელმწიფო და ის ადრე თუ გვიან მსოფლიოს ლიდერი გახდება, ხოლო აშშ-სთან კონკურენცია გარდაუვალია პროცესია. ამ პირობებში, კორეის ნახევარკუნძული განიხილება როგორც სტრატეგიული დაპირისპირების წერტილი და ჩრდილოეთ კორეა, როგორც სატელიტი, რომლის მკაცრად გაკონტროლება არის საჭირო (KimHeung-Kyu, 2020). ამ აღქმისა და მესამე თავში განხილული ჩინეთის ინტერესებიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში ჩრდილოეთ კორეის სატელიტად შენარჩუნება უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდება და ჩინეთში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, 2021 წელს საერთო თავდაცვის შეთანხმების კიდევ 20 წლით გახანგრძლივება სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

4.3. არა ბირთვულ იარაღს

მიუხედავად იმისა, რომ კორეის ნახევარკუნძულზე ომისა და რეჟიმის ჩამოშლით გამოწვეული დესტაბილიზაციის თავიდან არიდება ჩინეთის მთავარი პრიორიტეტია, საჭიროა ყურადღების გამახვილება ჩინეთის მესამე პრიორიტეტზე, რაც არის კორეის ნახევარკუნძული ბირთვული იარაღის გარეშე. ჩინეთი 1990-იანი წლების პირველი ბირთვული კრიზისიდან მოყოლებული ოფიციალურ დონეზე ყოველთვის აცხადებს, რომ მის ინტერესებში შედის კორეის ნახევარკუნძულზე ბირთვული იარაღის არარსებობა. ჩინეთის ოფიციალური განცხადებები მართლაც შეესაბამება რეალობას და რადგანაც ის მისი მთავარი პრიორიტეტი არ არის, არ ნიშნავს, რომ ის ჩინეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. იაპონიამ 2022 წლის ბოლოს წარადგინა ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან მოყოლებული, პირველად, 2027 წლისთვის თავდაცვის ხარჯები მშპ-ს 2%-მდე გაზრდა იგეგმება.

აღნიშნული გადაწყვეტილება დაკავშირებულია ჩრდილოეთ კორეის აგრესიულ პოლიტიკასთან, რომელიც დოკუმენტში 16-ჯერ არის ნახსენები და წერია, რომ „ჩრდილოეთ კორეის სამხედრო აქტივობები „იმაზე უფრო მნიშვნელოვან და გარდაუვალ საფრთხეს წარმოადგენს იაპონიის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, ვიდრე ის ოდესმე წარმოადგენდა“ (National Security Council of Japan, 2022, p. 9). შესაბამისად, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის გამოცდებმა შესაძლოა რეგიონში აშშ-ს მთავარი მოკავშირე სახელმწიფოების სამხედრო გაძლიერება გამოიწვიოს, რაც ეწინააღმდეგება ჩინეთის ეროვნულ ინტერესებს. ამისთვის, ჩინეთისთვის აუცილებელია ჩრდილოეთ კორეის აგრესიული პოლიტიკის გაკონტროლება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ჯუჩეს“ იდეოლოგიის მთავარი არსი მდგომარეობს დიდი სახელმწიფოებისგან მაქსიმალური დამოუკიდებლობის მოპოვებაში, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული არსენალის უკონტროლო განვითარებამ შესაძლოა მასზე ჩინეთის გავლენა შეამციროს.

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა შესაძლოა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღი და აგრესიული პოლიტიკა გამოიყენონ საკუთარი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და შესაძლოა საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნისთვის. ამის ნიშნები უკვე სახეზეა. 2023 წელს სამხრეთ კორეაში ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგად, მოსახლეობის 76% პროცენტი ემხრობა საკუთარი ბირთვული იარაღის დამზადებას. ამავდროულად, მოსახლეობის 80-90% ფიქრობს, რომ უახლოეს მომავალში ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღება არ მოხდება. 2023 წლის იანვარში სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა, იუნ სოკ იოლმა ღიად ისაუბრა, რომ თუ ჩრდილოეთ კორეისგან მომდინარე საფრთხე გაიზრდება, სამხრეთ კორეის ხელისუფლება საკუთარი ბირთვული არსენალის დამზადებაზე დაიწყებს აქტიურად ფიქრს (ChoeSang-Hun, 2023). საბოლოოდ, აღნიშნული წლის აპრილში სამხრეთ კორეისა და აშშ-ს პრეზიდენტებმა გააფორმეს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, უკანასკნელ 40 წლის მანძილზე პირველად, აშშ ბირთვული იარაღით დატვირთულ წყალქვეშა გემებს განალაგებდა სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე, სანაცვლოდ, სამხრეთ კორეამ არ უნდა განავითაროს ბირთვული შეიარაღება, რომელიც ბირთვული გაუვრცელებლობის შეთანხმების დარღვევა იქნებოდა (MackenzieJean & UsherBarbara, 2023).

აღნიშნულ შეთანხმება ჩინეთმა გააკრიტიკა და მხარეები გააფრთხილა „დაძაბული ვითარების კიდევ უფრო არევის, კონფრონტაციების პროვოკაციისა და საფრთხეებთან თამაშის“ წინააღმდეგ გააფრთხილა.

თავი V. ჩინეთის მიერ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის ხელშეწყობა

წინა თავში ჩინეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე განხილული იყო ორი მთავარი შიში, რაც ჩინეთს გააჩნია ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან მიმართებით. ამ შიშის კონტექსტში, ამ თავში განვიხილავთ ჩინეთის რეაქციებს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კრიზისების მიმართ 2003-2019 წლებში.

5.1. 2003 წლის კრიზისი

როგორც ნაშრომის მეორე თავში მიმოვიხილეთ, 2003 წელს ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული გაუვრცელებლობის შეთანხმება დატოვა და აღიარა, რომ ურანის გამდიდრებაზე მუშაობდა, რითიც პირდაპირ დაარღვია 1994 წელს აშშ-სთან გაფორმებული შეთანხმება. ამავდროულად, ბუშის ადმინისტრაციამ ჩრდილოეთ კორეა „ბოროტების ღერძის“ ერთ-ერთ ქვეყანად გამოაცხადა ერაცთან და ირანთან ერთად. დაძაბული ურთიერთობის ფონზე, ჩრდილოეთ კორეამ აშშ-სამხრეთ კორეას შორის სამხედრო წრთვნებს უწოდა „ომისკენ გადადგმული წინდაუხედავი ნაბიჯი“ და აღნიშნა, რომ „სიტუაცია კორეის ნახევარკუნძულზე ომის ზღვარს აღწევს“ (CNN, 2003). აშშ-ს ადმინისტრაცია ორმაგ გზავნილებს ავრცელებდა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ოფიციალური პოზიციის ის არ გეგმავდა ჩრდილოეთ კორეაში ინტერვენციას, 2003 წლის თებერვალში ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ საკითხის მოსაგვარებლად ყველა, მათ შორის, სამხედრო ვარიანტსაც განიხილავდა (NikschiLarry, 2003). ამას დაემატა პრეზიდენტ ბუშის განცხადება, რომ თუ დიპლომატიური მეთოდები არ გაამართლებდა, მაშინ საჭირო იქნებოდა სამხედრო მეთოდების გამოყენება. ბუშის სიტყვებს ამაგრებდა თავდაცვის მდივნის, დონალდ რამსფელდის ბრძანება გუამის კუნძულზე ბომბდამშენების განთავსების შესახებ

(SangerDavid & ShankerTom, 2003). ამ პერიოდში ასევე ხშირად ვრცელდებოდა სხვადასხვა ექსპერტების მოსაზრებები შესაძლო სამხედრო კონფლიქტის შესახებ (StruckDoug, 2003). მეორე თავში გვქონდა საუბარი, რომ აშშ-ს სურდა, ჩინეთი გამოეყენებინა ჩრდილოეთ კორეაზე წნეხის მოსახდენად, რათა ის დათანხმებოდა ბირთვულ საკითხზე მრავალმხრივ მოლაპარაკებებში ჩართულობას. აშშ ჩინეთს აფრთხილებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი ჩრდილოეთ კორეას არ აიძულებდა ბირთვული პროგრამის შეჩერებას, აშშ მიზნის მისაღწევად შესაბამის კოალიციას შექმნიდა. ეს ფრაზა ერაყში განვითარებული მოვლენების ერთგვარი პარალელი იყო. ყოფილი სახელმწიფო მდივანი, კონდოლიზა რაისი საკუთარ მემუარში წერს, რომ აშშ-ს მხრიდან ეს ჩინეთის შეშინებას ისახავდა მიზნად (Oberdorfer & Carlin, p. 395). შესაძლოა, აშშ არც გეგმავდა სამხედრო კონფლიქტის დაწყებას, არამედ სიტუაციის გამწვავებით ცდილობდა ჩინეთის პოზიციის შეცვლას, რომელიც 1990-იანი წლებიდან თავს არიდებდა აღნიშნულ საკითხში აქტიურობას. საბოლოოდ, ჩინეთმა დაითანხმა ჩრდილოეთ კორეა მოლაპარაკებებზე და ამისთვის, საჭირო გახდა ჩრდილოეთ კორეაზე წნეხის მოხდენა და მისთვის სამი დღით ნავთობის მიწოდების შეწყვეტა. ამრიგად, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ომისა და დესტაბილიზაციის მაღალი რისკის გამო ჩინეთმა ხისტი ძალა გამოიყენა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ.

5.2. ბირთვული იარაღის პირველი გამოცდა ჩრდილოეთ კორეაში 2006 წელს

2006 წელსაც სამხედრო კონფლიქტის რისკი მაღალი იყო. პრეზიდენტმა ბუშმაც ინტერვიუში აღნიშნა, რომ სამხედრო მოქმედებებამდე აშშ ყველა შესაძლო დიპლომატიურ გზებს გამოიყენებს, ხოლო კითხვაზე, მაშინ რატომ გამოიყენა აშშ-მა სამხედრო ძალა ერაყში, ბუშმა უპასუხა, რომ იმ შემთხვევაში აშშ-მ სცადა დიპლომატია და ასევე გამოიყენა რეზოლუციები, თუმცა, არ გაამართლა (BushGeorge, 2006). მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ბუშმა ისაუბრა დიპლომატიური გზების გამოყენების აუცილებლობაზე, მან

არ გამორიცხა უკანასკნელ ვარიანტად სამხედრო ძალის გამოყენება, თუ დიპლომატია არ გაამართლებდა. მან ასევე ახსენა, რომ დიპლომატიაში პროგრესის მიღწევა ხდება მაშინ, როდესაც მასში სხვებიც მონაწილეობენ. შესაძლოა, ჩინეთმა აღნიშნული რიტორიკა ერთგვარ გაფრთხილებად მიიღო, რის გამოც, გაეროს უშიშროები საბჭოზე მხარი დაუჭირა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას, მისმა წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოში ბევრად უფრო მსუბუქი ტონი გამოიჩინა აშშ-სა და იაპონელი დიპლომატებისგან განსხვავებით და ყველა მხარეს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ დამატებითი პროვოკაციებისგან, ამ შემთხვევაში, იგულისხმებოდა აშშ-ც (United Nations Security Council, 2006). 2003 წელთან შედარებით სამხედრო დაპირისპირების რისკები აშკარად უფრო ნაკლები იყო, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ამის შანსები არსებობდა, ჩინეთმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციებს დაუჭირა მხარი, რასაც აქამდე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩრდილოეთ კორეა მალევე დაუბრუნდა ექვსი მხარის მოლაპარაკებებს, ჩინეთს არ მოუწია დამატებითი ზომების გამოყენება, როგორც ეს 2003 წელს ნავთობის მიწოდების სამდღიანი შეწყვეტის დროს მოხდა.

5.3. ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდა 2009 და 2013 წლებში

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა კვლავ დაუჭირა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციებს, ჩინეთის რეაქციაც დიპლომატიური განცხადებების მიხედვით 2006 წელთან შედარებით უფრო მსუბუქი იყო. ეს გამომდინარეობს შემდეგი მიზეზებიდან: 1) 2009 წლის დასაწყისში აშშ-ს პრეზიდენტი გახდა ბარაკ ობამა, რომელიც მის წინამორბედთან შედარებით უფრო ნაკლებად აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარებას გეგმავდა. ეს გამოიხატა ობამას მიერ შემუშავებულ „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკაში, რომლის მიხედვითაც აშშ მზად იქნებოდა ჩრდილოეთ კორეასთან ბირთვული იარაღის

განვითარებაზე მოლაპარაკებებში ჩართვისთვის, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კორეა შესაბამის ნაბიჯებს გადადგამდა. სხვა შემთხვევაში, აშშ-ს წინა ადმინისტრაციის მსგავსად ჩრდილოეთ კორეის პროვოკაციებზე არ წამოგებოდა. 2006 წლისგან განსხვავებით, სანქციების შედეგად ჩრდილოეთ კორეა აღარ დაუბრუნდა ექვსი მხარის მოლაპარაკებებს, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის პირობებში სამხედრო დაპირისპირების რისკები მცირე იყო, ეს აისახა ჩინეთის შედარებით მსუბუქ რეაქციაზეც 2003 და 2006 წლებთან შედარებით. სწორედ ამიტომ, ბირთვული გამოცდის შედეგად, ჩინეთი „ყველა მხარეს მოუწოდებს ცივი გონებით დაფიქრებისკენ, თავშეკავებისკენ და ისეთი ნაბიჯების გადადგმისკენ, რამაც შეიძლება სიტუაციის გამწვავება გამოიწვიოს“ (Ministry of Foreign Affairs of China, 2009). ასევე, ახალი სანქციების დამტკიცების შემდეგ ჩინეთის განცხადებაში ჩინეთი მოუწოდებს მხარეებს „პატივი სცენ ჩრდილოეთ კორეის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და უსაფრთხოების ლეგიტიმურ ინტერესებს“. განცხადებაში ასევე ვკითხულობთ, რომ „საბჭოს ქმედებებმა უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს ქვეყნის განვითარებასა და მისთვის გაწეულ ჰუმანიტარულ დახმარებაზე“. მსგავსი ტექსტი 2006 წლის განცხადებაში არ გვხვდებოდა. ამ ძალიან ფრთხილად შერჩეული ენით, ჩინეთმა უზრუნველყო ჩრდილოეთ კორეასთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების შენარჩუნება. 2008-2012 წლებში, ვაჭრობა ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეაში 3 მილიარდი ამერიკული დოლარიდან თითქმის 6 მილიარდამდე გაიზარდა. ჩინეთის მიერ მხარდაჭერილი სანქციების პაკეტიც ძირითადად წინა რეზოლუციაში გაწერილი ზომების გამკაცრება იყო, რაც მხოლოდ იარაღითა ვაჭრობას მოიცავდა.

ჩრდილოეთ კორეის მიერ 2013 წელს ბირთვული იარაღის მესამეჯერ გამოცდას სიტუაციის რადიკალური გამწვავება არ გამოუწვევია. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ობამამ ჩრდილოეთ კორეის ქმედებას „სერიოზული საფრთხე“ უწოდა და აშშ-მ სამხრეთ კორეაში დამატებით ანტისარაკეტო სისტემები განათავსა, ამერიკელი სამხედრო მაღალჩინოსნები ხაზგასმით ამბობდნენ, რომ ეს არა სამხედრო, არამედ დიპლომატიური პრობლემა იყო (EricksonAmanda, 2013). ასევე, კვლავ ძალაში იყო ობამას შემუშავებული

„სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, სამხედრო დაპირისპირების შანსები მცირე იყო. შესაბამისად, ომის დაწყების რისკი არცთუ ისე მაღალი იყო. ამავდროულად, ჩრდილოეთ კორეაში რეჟიმის სიმტკიცე აქტუალური საკითხი იყო. ჩრდილოეთ კორეას ახალი, 31 წლის ლიდერი (კიმ ჩენ ინი) ჰყავდა.

კიმ ჩენ ირს ქვეყნის ლიდერის თანამდებობის დაკავებამდე უკვე ჰქონდა პოლიტიკური მმართველობის მრავალწლიანი გამოცდილება. ის 13 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა პარტიის პროპაგანდასა და აგიტაციას, ასევე, 1980 წელს ოფიციალურად დასახელდა კიმ ირ სენის მემკვიდრედ და 1990 წლიდან კიმ ირ სენის სიკვდილამდე იკავებდა ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობას.

კიმ ჩენ ირისგან განსხვავებით, კიმ ჩენ ინის მემკვიდრედ ოფიციალურად დასახელება კიმ ჩენ ირის სიკვდილამდე არ მომხდარა. ასევე, ქვეყნის ლიდერობამდე მისი ყველაზე მაღალი თანამდებობა პარტიის სამხედრო კომიტეტის ვიცე-თავჯდომარეობა იყო. ამიტომ, მას შემდეგ, მას შემდეგ რაც კიმ ჩენ ინი ოფიციალურად გახდა ქვეყნის ლიდერი, ის ბირთვული პროგრამის განვითარებასა და ბირთვული იარაღის გამოცდას საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისთვის იყენებდა (Nam S. W., 2019, p. 50). 2012 წლის 15 აპრილს, ქვეყნის დამფუძნებლის, კიმ ირ სენის მე-100 წლისთავისთვის მიძღვნილ ღონისძიებაზე კიმ ჩენ ინმა პირველად მიმართა მოსახლეობას და თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კიმ ირ სენისა და კიმ ჩენ ირის დროს სამხრედრო სფეროში მიღწეულ წარმატებებსა და აღნიშნა, რომ „სამხედრო ტექნოლოგიური უპირატესობა იმპერიალისტების მონოპოლიად აღარ რჩება და ის დრო სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა, როდესაც მტრები გვემუქებოდნენ ატომური ბომბებით“ (The National Committee on North Korea, 2012). სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ჩრდილოეთ კორეამ 2013 წელს ბირთვული იარაღი გამოსცადა, ხოლო ჩინეთმა, აშკარა უკმაყოფილების მიუხედავად, განსაკუთრებულად მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები არ გამოიყენა მის წინააღმდეგ, ვინაიდან საჭირო იყო კიმ ჩენ ინის რეჟიმის სტაბილურობის განმტკიცება.

სანქციების მხარდაჭერის მიუხედავად, ჩინეთმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება გაუწია ჩრდილოეთ კორეას. 2013 წლის 23 მაისს კიმ ჩენ ინის წარმომადგენელი დიპლომატიური ვიზიტით ეწვია ჩინეთს, სადაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსანს, ლიუ იუმანს შეხვდა. მხარეებმა საერთო განცხადებაში ყურადღება გაამახვილეს „ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებაზე“ (Ministry of Foreign Affairs of The People's Republic of China, 2013). ასევე, ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ვაჭრობა წლების მანძილზე უფრო და უფრო იზრდებოდა. ამის კარგი მაგალითებია 2013 წელს ძილინის პროვინციაში დაანონსებული ჩრდილოეთ კორეასთან დამაკავშირებელი სარკინიგზო გზის განახლება, რაც გავრცელებული ინფორმაციით „ხელს შეუწყობდა საზღვრებს შორის (cross-border) ეკონომიკისა და სავაჭრო კავშირების გაძლიერებას“ (Wang, 2013). ასევე, 2014-ში, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის კიდევ უფრო გასაადვილებლად, ძილინის პროვინციაში ჩინეთის ხელმძღვანელობამ დაიწყო 22 მილიონი დოლარის ღირებულების ხიდის მშენებლობა ჩრდილოეთ კორეასთან დამაკავშირებელ ტუმენის მდინარეზე (Xinhua, 2014).

5.4. 2016-2019 წლის ბირთვული კრიზისი

2016-2019 წლის კრიზისი, სავარაუდოდ, ყველაზე საინტერესო იყო, თუმცა, კანონზომიერება ამ შემთხვევაშიც დაცულია. საინტერესოა იმ მხრივ, რომ პირველად, ჩინეთმა მხარი დაუჭირა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ყოვლისმომცველ სანქციებს, რომლებიც პირდაპირ ზიანს აყენებდნენ ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობას. რაც მთავარია, სანქციების მხარდაჭერის გარდა, ჩინეთი მათ 2016-2017 წლებში ზედმიწევნით კარგად ასრულებდა. ეს კანონზომიერია, კანონზომიერია, რადგან 2016 წელს აშშ-ს პრეზიდენტი გახდა დონალდ ტრამპი, რომელიც ღიად ეწინააღმდეგებოდა ობამას „სტრატეგიულ მოთმინებას“ და აღნიშნავდა, რომ მოთმინება ამოიწურა და საჭიროა კონკრეტული ზომების მიღება ჩრდილოეთ კორეის შესაკავებლად (Reuters, 2017). ტრამპმა

როიტერსთან საუბრისას ასევე არ გამორიცხა ჩრდილოეთ კორეასთან მსხვილი კონფლიქტში ჩაბმა (GearanAnne, 2017). სიტუაცია იმდენად გამწვავდა, რომ ჩრდილოეთ კორეა სახელმწიფო მედიის საშუალებით აშშ-ს „ქვეყნის შუაგულში“ ბირთვული თავდასხმით ემუქრებოდა, თუ აშშ შეეცდებოდა ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის დამხობას (CochenZachary & StarrBarbara, 2017). შესაბამისად, არსებობდა რეალური შანსები სამხედრო დაპირისპირების, რაც ჩინეთისთვის საგანგაშო სიტუაციას წარმოადგენდა.

ჩრდილოეთ კორეის აგრესიული პოლიტიკის შედეგად ჩინურ მედიასა და სამეცნიერო სივრცეში გახშირდა მის მიმართ ნეგატიური მოსაზრებები. აღმოსავლეთ ჩინეთის უნივერსიტეტის პროფესორი, ტონგ ძივეი 2017 წელს ჩინეთის *Financial Times*-ში წერდა, რომ ჩინეთის ინტერესებში შედის ჩრდილოეთ კორეასთან 1961 წელს გაფორმებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმების გაუქმება, რადგან ჩრდილოეთ კორეა მას აგრესიული პოლიტიკის წარმოებისთვის იყენებს. ასევე, ჩინურ მედიაში გავრცელდა მოსაზრება, რომ თუ ჩრდილოეთ კორეა აშშ-ს თავს დაესხმება, ჩინეთი მას არ დაეხმარება. ჩინეთის მიზანი იყო ჩრდილოეთ კორეის აგრესიული პოლიტიკის შეჩერება და მისი მოლაპარაკებების მაგიდასთან მიყვანა (DenyerSimon & EricksonAmanda, 2017).

ჩინური მედიის საშუალებით გავრცელებულ ჩრდილოეთ კორეის კრიტიკასა და ჩინეთის მიერ გაეროში მკაცრი სანქციების მხარდაჭერას კრიტიკა მოჰყვა ჩრდილოეთ კორეისგანაც. ქვეყნის სახელმწიფო მედიაში გავრცელდა სტატია, სადაც ავტორი ჩინეთზე წერს, რომ ის „აშშ-ს დაკრულოზე ცეკვავს“.

„მან უყოყმანოდ გადადგა არაკუმანური ნაბიჯები, როგორცაა საგარეო ვაჭრობის სრული ბლოკირება, რომელიც კავშირშია ხალხის ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებასთან. მან ბევრჯერ განაცხადა, რომ სანქციების შესახებ გაეროს რეზოლუციებს არ უნდა ჰქონდეთ უარყოფითი გავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე. მისი ბოლო დროინდელი ზომები მტერთა ქმედებების ტოლფასია, რომელთა მიზანიც ჩრდილოეთ კორეის სოციალური სისტემის ჩამოშლაა. ეს ქვეყანა, რომელიც თავს დიდ

ძალად წარმოაჩენს, აშშ-ს დაკრულზე ცეკვავს და საკუთარ უხეშ საქციელს ამართლებს იმით, რომ ამას არ უნდა ჰქონდეს ნეგატიური გავლენა ჩრდილოეთ კორეის ხალხზე, არამედ გააკონტროლოს მისი ბირთვული პროგრამა“. - ვკითხულობთ სტატიაში (JongPhil, 2017).

ჩინეთის ზეწოლის პოლიტიკამ შედეგი გამოიღო და ჩრდილოეთ კორეა დათანხმდა აშშ-სთან მოლაპარაკებებს, რამაც განმუხტა დაძაბული ვითარება. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს მოლაპარაკებები კვლავ უშედეგოდ დასრულდა, ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის მიმართ რადიკალურად შეიცვალა. ეს მოხდა იმიტომ, რომ კორეის ნახევარკუნძულზე ომის დაწყების რისკი შემცირდა, თუმცა ყოვლისმომცველი სანქციების შედეგად ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის დესტაბილიზაციის რისკები გაიზარდა. სწორედ ამიტომ, აშშ-სთან მოლაპარაკებების პერიოდში ჩინეთმა აქტიურად დაიწყო საუბარი ჩრდილოეთ კორეისთვის სანქციების შემსუბუქების შესახებ და ამავდროულად, 2018 წელს უკვე უკვე არღვევდა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ 2016-2017 წლებში დაწესებულ სანქციებს და საშუალებას აძლევდა ჩრდილოეთ კორეას, დიდი ოდენობით ქვანახშირი და სხვა აკრძალული საქონელი არალეგალურად გაეტანა ქვეყნიდან (KimSo-Hyun, 2020). გაეროს ექსპერტთა პანელმა გამოავლინა არაერთი შემთხვევა, როდესაც მოხდა ჩრდილოეთ კორეიდან ჩინეთში რეზოლუციის დარღვევით მილიონობით დოლარის ოდენობის რკინის, ფოლადის, ვერცხლის, სპილენძის, თუთიის მადნების ექსპორტი (United Nations Security Council, 2018).

5.5. ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ვაჭრობა და გაეროს სანქციების დარღვევა

ტრამპსა და კიმს შორის მოლაპარაკებების პერიოდიდან მოყოლებული ჩინეთი უფრო და უფრო ნაკლებად ასრულებდა რეზოლუციით დაკისრებულ ვალდებულებებს. სამხრეთ კორეის საერთაშორისო ვაჭრობის ასოციაციის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, 2019

წლის პირველ ნახევარში ჩრდილოეთ კორეის ექსპორტი ჩინეთში 14%-ით, ხოლო ჩინეთიდან იმპორტი 15.5%-ით გაიზარდა. ასევე, ჩრდილოეთ კორეის სავაჭრო დეფიციტმა ჩინეთთან 2018 წელს \$2 მილიარდზე მეტი, ხოლო 2019 წელს დაახლოებით \$1.6 მილიარდი შეადგინა, რაც ნიშნავს, ჩინეთი, სავარაუდოდ, სხვადასხვა სახის დახმარებას უწევს ჩრდილოეთ კორეას. ასოციაციის წარმომადგენლის მიხედვით, საერთაშორისო სანქციების მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეასა და ჩინეთს შორის ვაჭრობა გეოპოლიტიკური მიზეზების გამო გრძელდება და ის კონცენტრირებულია არასანქცირებულ ნივთებზე (SPN Seoul Pyongyang News, 2019). ეს არ არის გასაკვირი, გამომდინარე იქიდან, რომ ჩინეთისა და რუსეთის წარმომადგენლები აშშ-ჩრდილოეთ კორეის ჩიხში შესული მოლაპარაკებების პარალელურად გაეროს უშიშროების საბჭოში აქტიურად ცდილობდნენ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შემსუბუქებას. კერძოდ, ზღვის პროდუქტებისა და ქსოვილების ექსპორტზე აკრძალვის მოხსნას, ჩრდილო კორეელი მუშებისთვის საზღვარგარეთ მუშაობის უფლების კვლავ მიცემასა და ორ კორეას შორის სარკინიგზო პროექტებზე სანქციების მოხსნას. აღნიშნული დრაფტის წარდგენის ოფიციალურ მიზეზად ჩრდილოეთ კორეასა და აშშ-ს შორის დიალოგის გაგრძელების ხელშეწყობად სახელდებოდა (NicholsMichelle, 2019). რეალურად, 2019 წელს აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის დაძაბული სიტუაცია განმუხტული იყო და სამხედრო დაპირისპირების რისკები თითქმის აღარ არსებობდა. ამიტომ, ჩინეთისთვის აღარ იყო საჭირო ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ წნეხის მოხდენა და უფრო პრიორიტეტული გახდა რეჟიმის სტაბილურობის შენარჩუნება. ამის კიდევ ერთი დასტურია ჩინეთის მცდელობა, დაეხმაროს ჩრდილოეთ კორეას გაეროს სანქციების თავიდან არიდებაში.

რეალურად, ჩინეთი ჩრდილოეთ კორეას სანქციებისგან თავიდან არიდებაში 2016-2017 წლის მკაცრ სანქციებამდეც ეხმარებოდა. მეცნიერებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ინსტიტუტის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ჩრდილოეთ კორეიდან 150 კილომეტრში მდებარე ჩინურ ქალაქ შენიანგში დაფუძნებული კომპანია, *Shenyang Machine Tools Company*, 2015 წელს საერთაშორისო სანქციების დარღვევით აწვდიდა სპეციალურ ტექნიკას ჩრდილოეთ კორეას. ჩინურმა კომპანიამ აღნიშნული ტექნიკა თავდაპირველად

ევროპული კომპანიისგან იყიდა, იმ პირობით, რომ მათი გადაყიდვა მოხდებოდა ჩრდილოეთ კორეისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ არ იცოდნენ ამ ტექნიკის საბოლოო დანიშნულების შესახებ, არსებული მტკიცებულებებით საპირისპირო დასტურდება. აღნიშნულ კომპანიას მჭიდრო კავშირები აქვს ჩრდილოეთ კორეასთან. ინფორმაციის მიუხედავად, ჩინეთის მთავრობამ უარი თქვა საერთაშორისო საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლებაზე და მხარი დაუჭირა კომპანიას, რომ ადგილი ჰქონდა უნებლიე შეცდომას (AlbrightDavid, 2017).

2016 წლის 7 თებერვალს, ჩრდილოეთ კორეამ კოსმოსში სატელიტი კვანგმიონგსონგ 4 გაუშვა. სატელიტის გასაშვებად გამოყენებულ იქნა *Unha 3*-ის ტიპის რაკეტა, რომელიც სამხარეთ კორეისა და აშშ-ს დაზვერვის ინფორმაციით, შესაძლოა სამომავლოდ ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღის გამოცდისთვის გამოიყენოს. მიუხედავად იმისა, რომ რაკეტა სპეციალურად იყო დამზადებული ისე, რომ ჩამოვარდნისას თავისით აფეთქებულიყო, სამხრეთ კორეელმა სამხედრო გემებმა შეძლეს მისი ნაწილების მოგროვება გამოძიების ჩასატარებლად. საბოლოოდ, გამოძიებამ დაადგინა, რომ *Unha 3*-ის ბევრი კომპონენტი დასავლეთის ქვეყნებში იყო დამზადებული, ხოლო შემდეგ ჩინეთის გავლით ჩრდილოეთ კორეაში ტრანსპორტირებული (WarrickJoby, 2017).

არსებობს დადასტურებული ფაქტები, რომ ჩინური ფინანსური ინსტიტუტებისა და ბანკების მეშვეობით ხდება ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების დარღვევა, ასევე აკრძალული პროდუქციის ჩრდილოეთ კორეაში არალეგალური გზებით შეტანა. გაეროს ექსპერტთა პანელის 2021 ანგარიშში კი საუბარია ჩრდილო კორეულ ბანკებზე და ინდივიდებზე, რომლებიც საერთაშორისო სანქციების დარღვევით ჩინეთში ოპერირებენ. ჩინეთმა საპასუხოდ აღნიშნავს, რომ სანქცირებულ პირებს ეკრძალებათ ჩინეთში გადაადგილება და ასევე ჩინურ ფინანსურ ინსტიტუტებს ეკრძალებათ მათი მომსახურება (Council, 2021, p. 326).

2021 წლის ზაფხულში, აშშ-ს მაღალჩინოსნებმა გაეროს ექსპერტთა პანელს წარმოუდგინეს სატელიტური ფოტოები, სადაც ჩანს, თუ როგორ გადააქვთ ქვანახშირი

ჩრდილო კორეული გემიდან ჩინეთის დროშიან გემზე, რაც გაეროს ემბარგოს პირდაპირი დარღვევაა. სიტუაციას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ გემებთან ახლოს იმყოფება ჩინეთის სანაპირო დაცვა, რომელიც პროცესს თვალს ადევნებს. ჩინეთმა აღნიშნულ ბრალდებების საპასუხოდ მოითხოვა ექსპერტთა პანელისგან, ანგარიშში არ შეიტანონ დაუდასტურებელი ინფორმაცია ჩინეთის გემების შესახებ და აღნიშნა, რომ სრულად კანონიერი პროცესია, როდესაც ჩინეთის სანაპირო დაცვა რეგიონის პატრულირებას ახდენდნენ (LynchColum, 2021).

იმისთვის, რომ სანქციების თავიდან არიდების ფაქტების გამოვლენა გართულდეს, ჩინეთის წარმომადგენლები ხელს უშლიან ჩრდილოეთ კორეის სანქციების აღსრულების მაკონტროლებენ ექსპერტთა პანელს მუშაობაში. ჩინეთის წარმომადგენლები უარყოფენ ინფორმაციას, რომ ჩინურ პორტებში დროდადრო იმყოფებოდნენ გემები, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩრდილოეთ კორეას სანქციების გვერდის ავლით საწვავს აწვდის. ასევე, ჩინეთი წინააღმდეგია დაიწყოს გამოძიება სხვადასხვა საგამომიებო ჟურნალისტურ ანგარიშებში ნახსენები შესაძლო სანქციების არიდების სქემების შესახებ (O'KeeffeKate, 2021).

ამასთან ერთად, ჩინეთი ყველაფერს აკეთებს, რომ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები არ გამკაცრდეს მასზე წნეხის მოსახდენად. 2021 წელს ჩინეთმა მხარი არ დაუჭირა აშშ-ს მოთხოვნას, სანქციები დაეწესებინათ დამატებით 50 იურიდიული და ფიზიკური პირისთვის (DetschJack, 2021). 2022 წელს კი, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ ერთი წლის მანძილზე 70-ზე მეტი ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტა გაისროლა, ჩინეთმა და რუსეთმა პირველად გაეროს უშიშროების საბჭოზე ვეტო დაადეს ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ახალ რეზოლუციას, რომელიც სანქციების გამკაცრებას ისახავდა მიზნად (Beech, 2022). ჩინეთისა და რუსეთის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პრობლემიდან გამოსავალი დამატებითი სანქციები არ უნდა იყოს. რეალურად, მოსალოდნელი იყო, რომ ჩინეთი მხარს არ დაუჭერდა სანქციებს, ვინაიდან რუსეთ-უკრაინის ფონზე მთელი სამყაროს ყურადღება და რესურსები ევროპისკენ არის მიმართული, შესაბამისად, კორეის ნახევარკუნძულზე ვითარების გამწვავებისა და სამხედრო დაპირისპირების რისკები გამორიცხულია, ამავდროულად, კორონავირუსის პანდემიამ დიდი ზიანი მიაყენა ჩრდილოეთ კორეის

ეკონომიკასა და მის ვაჭრობას, ამიტომ დამატებითი სანქციების დაწესებამ შესაძლოა მძიმე ჰუმანიტარული პრობლემები გამოიწვიოს, რაც რაც რეჟიმის დასუსტებას გამოიწვევს.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ჩინეთი საკუთარი პოლიტიკით ხელს უწყობს ჩრდილოეთ კორეას ბირთვული პროგრამის განვითარებაში. ბლანშარდმა შეიმუშავა მოდელი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გავზომოთ კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების ეფექტურობა. ბლანშარდის თეორიის მიხედვით, თუ სანქციების ობიექტ სახელმწიფოს ჰყავს ისეთი პარტნიორი სახელმწიფოები, რომლებიც მის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდებიან ან დაეხმარებიან ამ სანქციების თავიდან არიდებაში, მაშინ მნიშვნელოვნად მცირდება სანქციების ეფექტურობის შანსები. (Blanchard Jean-Marc & Ripsman Norrin, 2013). ჩრდილოეთ კორეის შემთხვევაში ასეთ ქვეყანას კი ცალსახად ჩინეთი წარმოადგენს.

ჯამში, 2003 წლიდან მოყოლებული ვნახეთ, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ ჩინეთი მოქმედებს პოლიტიკით, რასაც სი ძინპინმა მარტივად უწოდა „სამი არა“, ანუ არა ომს, არა ქაოსს და არა ბირთვულ შეიარაღებას. ოღონდ, ზემოთ განხილულიდან ჩანს, რომ „მესამე არა“ ჩინეთისთვის პირველ ორზე უფრო ნაკლებად პრიორიტეტულია. ერთი შეხედვით, ჩინეთის მხრიდან ჩრდილოეთ კორეაზე ეკონომიკური და პოლიტიკური წნეხის მოხდენა მის ბირთვულ განიარაღებას უნდა ემსახურებოდეს, თუმცა, რეალურად, 2003, 2006, 2009, 2013 და 2016-19 წლების შემთხვევების (ქეისების) შედარებით, ჩანს, რომ ჩინეთი მხოლოდ მაშინ იყენებდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბერკეტებს ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ, როდესაც იქმნებოდა რეალური საფრთხე სამხედრო დაპირისპირების, ანუ 2003 და 2006 წლებში ბუმის და განსაკუთრებით, 2016-2017 წლებში ტრამპის ადმინისტრაციის დროს. ხოლო 2009 და 2013 წლებში, როდესაც პრეზიდენტი ობამა „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკას ატარებდა, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ცდების მიმართ შეედარებით უფრო მსუბუქი იყო. ასევე, 2016-19 წლების მაგალითზე ჩანს, რომ როგორც კი დამაბული ვითარება განიმუხტა და მხარეები მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდნენ, ჩინეთმა შეცვალა მკაცრი პოზიცია ჩრდილოეთ კორეის მიმართ და მაქსიმალურად ცდილობდა მასზე ეკონომიკური სანქციების წნეხის

შემცირებასაც, ვინაიდან, როგორც „მეორე არა“, ანუ „არა ქაოსს“, ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის სტაბილურობის შენარჩუნება. ყოველივე ეს კი ემსახურება ჩინეთის რეგიონულ ინტერესს, ჩრდილოეთ კორეა ჰყავდეს სატელიტ სახელმწიფოდ და არ დაუშვას საკუთარ საზღვართან ახლოს აშშ-ს გავლენის ზრდა.

თავი VI. ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის მიმართ საფრთხის ბალანსის თეორიის ჭრილში

როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში ვახსენეთ, სტივენ უოლტის საფრთხის ბალანსის თეორია დაგვეხმარება იმ ერთი შეხედვით პარადოქსის ახსნაში, რაც ჩრდილოეთ კორეის მიმართ ჩინეთის პოლიტიკიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას ისტორიული პარტნიორობა აკავშირებთ, ბევრი ექსპერტი პროგნოზირებს, რომ მათ შორის ურთიერთობა დროის განმავლობაში უფრო და უფრო გაუარესდება, რადგან ის აღარ წარმოადგენს იდეოლოგიურ კავშირს და მათი მსოფლხედველობა ერთმანეთისგან ბევრად განსხვავებული ხდება. კვლევამ გვიჩვენა, რომ ბევრი უარყოფითი ფაქტორის მიუხედავად, ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობა არსებითად არ შეცვლილა, მათ კვლავ განაახლეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და საერთო დახმარების შეთანხმება და დღემდე ჩინეთი რჩება ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკის მთავარ მაცოცხლებელ ძალად. ამავდროულად, ჩინეთის პოლიტიკური ერთგულება, სამხედრო ალიანსი და ეკონომიკური დახმარება ხელს უწყობს ჩრდილოეთ კორეას, განავითაროს ბირთვული არსენალი.

თუ საფრთხის ბალანსის თეორიით შევხედავთ ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობას, უფრო მარტივი და ლოგიკური იქნება ჩინეთის პოლიტიკის ახსნა. აღნიშნული თეორია გვეუბნება, რომ როდესაც ერთი სახელმწიფოსგან მომდინარე საფრთხე მზარდია, სხვები მის დასაბალანსებლად ალიანსებს აყალიბებენ. ჩინეთი და ჩრდილოეთ კორეა ორივე მთავარ მეტოქედ აშშ-ს ხედავენ და საპირისპიროდ, აშშ ამ ორ სახელმწიფოს მთავარ რეგიონულ მეტოქეებად მიიჩნევს. თუმცა, ნიშნავს თუ არა მეტოქეობა საფრთხეს? უოლტის თეორია დაშენებულია „ძალთა ბალანსის თეორიაზე“, რომელიც ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები ცდილობენ დააბალანსონ არაპროპორციულად ძლიერი სახელმწიფოები. უოლტი აბათილებს არგუმენტს, რომ მსხვილი ძალა საკმარისია იმისთვის, რომ სახელმწიფოებმა მის დასაბალანსებლად ალიანსები შექმნან და ბალანსირების თეორიას

უმატებს „საფრთხის“ ფაქტორს. სწორედ ეს არის გარდამტეხი ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობაშიც.

ნაშრომში ვნახეთ, რომ ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობა ძლიერდება მაშინ, როდესაც აშშ-სგან მომდინარე საფრთხე იზრდება, ხოლო ბევრად უფრო მეტი „პრობლემა“ იკვეთება ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში მაშინ, როდესაც ჩინეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა გამოსწორების გზაზეა. ვინაიდან „საფრთხე“ ზოგადი ტერმინია და შესაძლოა მისი აღქმაც სუბიექტური იყოს, შესავალში ჩამოვთვალეთ ის კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებსაც უოლტი გვთავაზობს საფრთხის გაზომვის მექანიზმად. 1) აგრეგატული ძალა - სახელმწიფოს მთლიანი რესურსები (მოსახლეობა. ინდუსტრიული, სამხედრო და ტექნოლოგიური შესაძლებლობები). აშშ ამ კრიტერიუმით მართლაც მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოა. 2) გეოგრაფიული სიახლოვე. მიუხედავად იმისა, რომ აშშ გეოგრაფიულად ახლოს არ იმყოფება არც ჩინეთთან და არც ჩრდილოეთ კორეასთან, აღმოსავლეთ აზიის რეგიონში მას აქვს სამხედრო ალიანსი სამხრეთ კორეასთან და იაპონიასთან და ორივე სახელმწიფოში ერთად ჯამში 80 000-მდე ამერიკელი სამხედრო იმყოფება. ამ მხრივ, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ აშშ-ის სამხედრო ძალა ჩინეთთან და ჩრდილოეთ კორეასთან საკმაოდ ახლოს არის, რაც საკმარისია იმისთვის, რომ საფრთხის აღქმა გაიზარდოს. 3) თავდასხმითი ძალა - ეს ფაქტორი კავშირშია მეორესთან და შეგვიძლია ესეც რეგიონში არსებული აშშ-ის სამხედრო ძალით ავხსნათ. ამასთან ერთად, ნაშრომში განხილული ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კრიზისები ნათლად აჩვენებს, რომ აშშ-ს არაერთხელ გამოუჩენია მზაობა, სამხედრო ძალის მეშვეობით შეეცვალოს ჩრდილოეთ კორეის ქცევა.

ჩინეთი კორეის ნახევარკუნძულზე აწარმოებს „Dual-Track“ დიპლომატიურ პოლიტიკას. ამ მიდგომის მიხედვით, ჩინეთი ცდილობს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარების შეჩერების პარალელურად, აიძულოს აშშ, შეამციროს სამხედრო ძალა და სამხედრო წრთვნები აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. ეს აჩვენებს, რომ ჩინეთი საფრთხედ აღიქვამს სამხედრო შესაძლებლობებსა და მის თავდასხმითუნარიანობას. ჩინეთი რეგიონში აშშ-ის სამხედრო გაძლიერების ყველა შემთხვევას აღიქვამს არა როგორც

თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, არამედ ჩინეთის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას. ამის ნათელი მაგალითი იყო აშშ-ის მიერ სამხრეთ კორეაში დიდი სიმაღლის თავდაცვითი სისტემის (THAAD) განლაგება ჩრდილოეთ კორეისგან თავის დასაცავად, რის გამოც, ჩინეთმა საპასუხოდ სამხრეთ კორეის წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური სანქციები გამოიყენა და არაერთხელ აღნიშნა, რომ THAAD-ის სისტემა ჩინეთისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

დაბოლოს, მეოთხე კრიტერიუმი და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, ეს არის აგრესიული ზრახვები. ცივი ომის დროიდან მოყოლებული ჩინეთი აშშ-ს არასდროს არ მიიჩნევდა სახელმწიფოდ, რომლის ნდობაც გრძელვადიანად შესაძლებელი იქნებოდა. თუმცა, უკანასკნელ წლებში, ჩინეთის ამბიციების ზრდასთან ერთად, მძლავრდება დაპირისპირებაც აშშ-სა და ჩინეთის ინტერესებს შორის. აშშ-ის მიერ ჩინეთის შეკავებაზე ღიად საუბარი, ჩინეთთან წარმოებული სავაჭრო ომი, ტაივანთან ურთიერთობების გაღრმავება, რეგიონული უსაფრთხოების ორგანიზაციების შექმნა, როგორცაა QUAD და AUKUS ჩინეთის მხრიდან აღქმულია, როგორც მის შესაკავებლად მიმართული აშშ-ის აგრესიული ქმედება და ამის შესახებ ჩინეთის ლიდერები, ექსპერტები და ჩინური მედია ღიად საუბრობენ.

უოლტის მიერ დასახელებული ოთხივე კრიტერიუმის გაანალიზებით ნათელი ხდება, რომ ჩინეთი აშშ-ს საფრთხედ აღიქვამს და ჩრდილოეთ კორეასთან მისი პარტნიორული ურთიერთობა და ხშირად კომპრომისებზე წასვლაც აშშ-ისგან მომდინარე საფრთხის დაბალანსებას ისახავს მიზნად.

როგორც უკვე ვახსენეთ, ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობის ანალიზის დროს იდეოლოგიურ ასპექტს ხშირად დიდ ყურადღებას უთმობენ. მართლაც, კორეის ომის დასრულებიდან მოყოლებული ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის პარტნიორობის მთავარი საყრდენი იდეოლოგიური თანხვედრა იყო, თუმცა, 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან ვითარება შეიცვალა და გამოჩნდა, რომ იდეოლოგიურმა დაშორებამ მართლაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ორი ქვეყნის ურთიერთობაზე. ეს იმ პერიოდში ხდებოდა, როდესაც აშშ-

სა და ჩინეთს შორის ურთიერთობა საგრძნობლად უმჯობესდებოდა და აშშ-სგან მომდინარე საფრთხეც ჩინეთისთვის შესაბამისად იკლებდა. საფრთხის ბალანსის თეორია გვეუბნება, რომ იდეოლოგიას ალიანსის სიძლიერეზე გავლენა აქვს, თუმცა, არა გადამწყვეტი და ის დამოკიდებულია საფრთხის დონეზე. როდესაც საფრთხე მცირეა, მაშინ უფრო დიდი ყურადღება ექცევა ალიანსში შემავალ სახელმწიფოებს შორის იდეოლოგიურ მსგავსებასა თუ განსხვავებას, ხოლო რაც უფრო დიდია საფრთხე, იდეოლოგიას მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობის ანალიზითაც ჩანს, რომ როდესაც ჩინეთსა და აშშ-ის შორის ურთიერთობა გამოსწორების გზაზე იყო, ანუ, აშშ-სგან მომდინარე საფრთხე მცირდებოდა, ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის იდეოლოგიური სხვაობა უფრო პრობლემატური საკითხი ხდებოდა. თუმცა, მაშინ, როდესაც აშშ-სა და ჩინეთს შორის მეტოქეობა თავის პიკს აღწევს, ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის იდეოლოგიურ სხვაობებს ნაკლები ყურადღება ექცევა და მთავარი ფაქტორი საერთო საფრთხის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედებაა. რაც შეეხება ჩინეთის მხრიდან ჩრდილოეთ კორეისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევას, ამის მიზეზად ხშირად ჩრდილოეთ კორეასთან ალიანსის შენარჩუნება სახელდება. საფრთხის ბალანსის თეორიის მიხედვით, ეკონომიკური, ჰუმანიტარული თუ სამხედრო დახმარება ალიანსის შექმნის საფუძველი ვერ იქნება, არამედ ის შეიძლება უკვე არსებული ალიანსის გაძლიერებისთვის იქნეს გამოყენებული.

ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ალიანსს ყოველთვის საფუძველი საერთო საფრთხის წინაშე დაბალანსება იყო და არასდროს ეს განპირობებული არ იყო ჩინეთის მხრიდან ჩრდილოეთ კორეისთვის გამოყოფილი დახმარებით. მაშინაც კი, როდესაც ჩინეთის მხრიდან ჩრდილოეთ კორეისთვის გაწეული დახმარება მკვეთრად იყო შემცირებული, ისინი მაინც რჩებოდნენ სტრატეგიულ პარტნიორებად. თუმცა, ჩინეთის მიერ გაწეული დახმარების მასშტაბი შეესაბამება აშშ-სგან მომდინარე საფრთხეს და რაც უფრო დიდი საფრთხეა, მით უფრო ცდილობს ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეისთვის მსხვილი დახმარებით გააძლიეროს ალიანსი. ამრიგად, საფრთხის ბალანსის თეორიით შეგვიძლია

დავინახოთ, რომ ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის პარტნიორობის საფუძველი არა იდეოლოგიური მსგავსება, ან ძლიერი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური კავშირებია, არამედ საერთო საფრთხის, კონკრეტულად კი აშშ-ის გავლენის დაბალანსებაა და სამომავლოდაც მათი ალიანსის სიმლიერეზე მთავარი გავლენის მომხდენი ფაქტორი აშშ-სგან მომდინარე საფრთხე იქნება.

დასკვნა

კვლევაში გაანალიზებულია ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობის ევოლუცია და ნაჩვენებია, რომ კორეის ომის დასრულებიდან მოყოლებული 1970-იანი წლების მეორე ნახევრამდე ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის მჭიდრო იდეოლოგიური კავშირი არსებობდა რა დროსაც საფუძველი ჩაეყარა მათ შორის სამხედრო ალიანსს. 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩინეთმა ღია ბაზრის პრინციპების იმპლემენტაცია დაიწყო და ურთიერთობა გააუმჯობესა აშშ-სთან. ამას მოჰყვა ჩრდილოეთ კორეის რეჟიმთან იდეოლოგიური დაპირისპირება, რამაც გარკვეული ცვლილება შეიტანა ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობაში. კერძოდ, 1990-იან წლებში ჩინეთმა „ერთი კორეის“ პოლიტიკა „ორი კორეის“ პოლიტიკით შეცვალა და დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობა დაიწყო სამხრეთ კორეასთან. ამის მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეა ყოველთვის რჩება ჩინეთის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორად და ეს ჩანს ჩრდილოეთ კორეის ყველა ბირთვული კრიზისის დროს, როდესაც ჩინეთი ერთი მხრივ ცდილობს პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრას და მეორე მხრივ ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის სტაბილურობის შენარჩუნებას.

კვლევაში ასახულია ჩინეთის ინტერესები აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. დენ სიაოპინმა შეიმუშავა „შესაძლებლობების დამალვისა და დალოდების სტრატეგია“, რათა ხელი შეეწყო ჩინეთის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული პოტენციალის მშვიდობიანი ზრდისთვის. ამისთვის, ჩინეთი 1990-იანი წლების ბოლოდან იწყებს რეგიონში „მულტილატერალიზმისა“ და „თანამშრომლობის“ წახალისებას.

სი ძინპინის დროს შეიცვალა პოლიტიკა და მიზნად „ეროვნულ გამოცოცხლებას“ ისახავს. კერძოდ, ჩინეთის გლობალურ მოთამაშედ ქცევას და აშშ-ს ჰეგემონობის დასრულებას. ამისთვის, საჭიროა რომ აღმოსავლეთ აზიის რეგიონში ჩინეთი გაერთიანდეს ტაივანთან და სრული კონტროლი დაამყაროს სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვებში.

კორეის ნახევარკუნძული ამ მიზნის მისაღწევად სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ამიტომ, ჩინეთი სამხრეთ კორეის მთავარი სავაჭრო პარტნიორია, ხოლო ჩრდილოეთ კორეა უნდა შეინარჩუნოს, როგორც სტრატეგიული სატელიტი და მისი რეჟიმის შენარჩუნება ჩინეთის ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს.

კვლევაში ნაჩვენებია ჩინეთის შიში კორეის ნახევარკუნძულის მიმართ, რაც გამომდინარეობს ჩინეთის რეგიონული ინტერესებიდან. ეს შიში ასევე ცნობილია, როგორც „სამი არა: არა ომს, არა ქაოსს, არა ბირთვულ იარაღს“.

1) ჩინეთმა არ უნდა დაუშვას, რომ კორეის ნახევარკუნძულზე ომი დაიწყოს და მასში ჩინეთი აღმოჩნდეს ჩართული, რადგან ეს დააზიანებს ჩინეთის რეპუტაციასა და ეკონომიკურ ინტერესებს.

2) ჩინეთმა არ უნდა დაუშვას ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის ჩამოშლა, იქნება ეს ომის, თუ ჩრდილოეთ კორეაზე ძლიერი წნეხის შედეგად. რეჟიმის დამხობა გამოიწვევს ჩრდილოეთ კორეაში ქაოსს და ჩინეთის მიმართულებით მილიონობით მიგრანტთა გადინებას. ჩინეთი დაკარგავს სატელიტ სახელმწიფოს და გაიზრდება ჩინეთის საზღვრებთან აშშ-ის გავლენა. ჩინეთი ვეღარ გამოიყენებს ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამას რეგიონში აშშ-ს გავლენის შემცირების ინსტრუმენტად.

3) ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის განვითარება ახალისებს რეგიონში პროამერიკული ძალების მიერ თავდაცვისუნარიანობის ზრდას.

აღნიშნული შიშის მიხედვით კვლევაში გაანალიზებულია ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ კრიზისულ ვითარებებში. ჩინეთის რეაქცია ჩრდილოეთ კორეის მიმართ მკაცრია მაშინ, როდესაც არსებობს აშშ-სთან სამხედრო დაპირისპირების სერიოზული რისკი, რა დროსაც ჩინეთი მის ხელთ არსებულ ბერკეტებს იყენებს, რათა ჩრდილოეთ კორეა მოლაპარაკებების მაგიდასთან მიიყვანოს და ვითარება დაასტაბილუროს. თუმცა, როგორც ჩრდილოეთ კორეის მთავარი სავაჭრო და სამხედრო პარტნიორი, ჩინეთი არ ახდენს ჩრდილოეთ კორეაზე ისეთ ზეწოლას, რამაც შესაძლოა რეჟიმის ჩამოშლა გამოიწვიოს და მეტიც, როგორც კი სასურველ მიზანს აღწევს და მხარეები

მოლაპარაკებებს იწყებენ, ჩინეთი კვლავ აძლიერებს ჩრდილოეთ კორეასთან ვაჭრობას, ეკონომიკურ დახმარებას და ზოგიერთ შემთხვევაში, ხელს უწყობს გაეროს მიერ დაწესებული სანქციებისგან თავის არიდებაში.

ამრიგად, ნაშრომში პასუხი გაეცა კითხვას - რატომ უწყობს ხელს ჩინეთი ჩრდილოეთ კორეას ბირთვული პროგრამის განვითარებაში? ამავდროულად, აღმოსავლეთ აზიის რეგიონში ჩინეთის ინტერესებისა და ამ ინტერესებიდან გამომდინარე ჩინეთის შიშის განაალიზებით დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ჩინეთი ხელს უწყობს ჩრდილოეთ კორეას ბირთვული პროგრამის განვითარებაში, რადგან შიშობს, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღება ქმნის რეჟიმის ჩამოშლის საფრთხეს, რაც გამოიწვევს ჩინეთის გავლენის შემცირებას და აშშ-ის გავლენის ზრდას აღმოსავლეთ აზიის რეგიონში.

ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის მიმართ აიხსნა საფრთხის ბალანსის თეორიით, რომლის მიხედვით ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის პარტნიორობის მთავარ გამომწვევს აშშ-ისგან მომდინარე საფრთხე წარმოადგენს, ხოლო რაც უფრო მაღალია აშშ-სგან მომდინარე საფრთხე ჩინეთისთვის, მით უფრო მნიშვნელოვანია მისთვის ჩრდილოეთ კორეის სახით მეზობლად ძლიერი პარტნიორი სახელმწიფოს ყოლა.

ბიბლიოგრაფია

- Abrahamian, A. (2018, June 8). *Will the US or China Rain on the North-South Parade?: 38 North*. Retrieved from 38 North Web site:
[https://www.38north.org/2018/06/aabrahamian060718/#:~:text=On%20May%202%2C%20the%20Gloabal%20Times%2C%20China%](https://www.38north.org/2018/06/aabrahamian060718/#:~:text=On%20May%202%2C%20the%20Gloabal%20Times%2C%20China%20)
- Albright, D. (2017). *Shenyang Machine Tools Company*. Washington D.C. : Institute for Science and International Security.
- Aum, F. (2018, March 28). *North Korea-China Summit: The 'Strategic Choice' by Both Sides: United States Institute for Peace*. Retrieved from United States Institute for Peace Web site:
<https://www.usip.org/publications/2018/03/north-korea-china-summit-strategic-choice-both-sides>
- Aum, F. (2018, March 28). *North Korea-China Summit: The 'Strategic Choice' by Both Sides: United States Institute of Peace*. Retrieved from United States Institute of Peace Web site:
<https://www.usip.org/publications/2018/03/north-korea-china-summit-strategic-choice-both-sides>
- BBC. (2013, March 7). *UN adopts tough new North Korea sanctions after nuclear test: BBC*. Retrieved from BBC Web site: <https://www.bbc.com/news/world-asia-21704862>
- Beech, S. (2022, May 27). *China and Russia veto new UN sanctions on North Korea for first time since 2006: CNN*. Retrieved from CNN Web site: <https://edition.cnn.com/2022/05/26/asia/us-north-korea-united-nations-intl-hnk/index.html#:~:text=Russia%20and%20China%20on%20Thursday,develop%20nuclear%2Dcapable%20missile%20systems>.
- Blanchard, J.-M. F., & Ripsman, N. M. (2013). *Economic Statecraft and Foreign Policy*. Abindgdon: Routledge.
- Broder, J. M., & Mann, J. (1994, May 27). *Clinton Reverses His Policy, Renews China Trade Status : Commerce: President 'de-links' most-favored-nation privilege from human rights. He admits failure of earlier course and says broader strategic interests justify switch: Los Angeles Times*. Retrieved from Los Angeles Times Web site: <https://www.latimes.com/archives/la-xpm-1994-05-27-mn-62877-story.html>
- Bush, G. W. (2006, October 11). President Bush Rules Out Military Attack on North Korea. (J. Lehrer, Interviewer) Retrieved from <https://www.pbs.org/newshour/show/president-bush-rules-out-military-attack-on-north-korea>
- Cha, V. (2012). *The Impossible State: North Korea, Past and Future*. New York: Harper Collins.

- China, M. o. (2006, October 10). *Statement of the Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China*. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of China: http://gb.china-embassy.gov.cn/eng/zywl/2006/200610/t20061010_3386945.htm
- Choe, S.-H. (2023, January 13). *In a first, South Korea declares nuclear weapons a policy option: The Japan Times*. Retrieved from The Japan Times Web site: <https://www.nytimes.com/2023/01/12/world/asia/south-korea-nuclear-weapons.html>
- Clinton, W. J. (1993, November 19). *Remarks to the Seattle APEC Host Committee: The American Presidency Project*. Retrieved from The American Presidency Project Web site: <https://www.presidency.ucsb.edu/people/president/william-j-clinton>
- CNN. (2003, February 26). *N. Korea warns of nuclear conflict: CNN*. Retrieved from CNN Web site: <https://edition.cnn.com/2003/WORLD/asiapcf/east/02/25/nkorea.missile/index.html>
- Cochen, Z., & Starr, B. (2017, July 25). *North Korea promises nuclear strike on US if regime is threatened: CNN*. Retrieved from CNN Web site: <https://edition.cnn.com/2017/07/25/politics/north-korea-threatens-nuclear-strike-us/index.html>
- Council, U. N. (2021, March 4). *Security Council Report*. Retrieved from Security Council Report Web site: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N21/034/37/PDF/N2103437.pdf?OpenElement>
- Daily NK. (2014, May 5). *China's Military Prepared for Collapse Scenario: Daily NK*. Retrieved from Daily NK Web site: <https://www.dailynk.com/english/report-chinas-military-prepared-fo/>
- Denyer, S., & Erickson, A. (2017, August 11). *Beijing warns Pyongyang: You're on your own if you go after the United States: The Washington Post*. Retrieved from The Washington Post Web site: https://www.washingtonpost.com/world/china-warns-north-korea-youre-on-your-own-if-you-go-after-the-us/2017/08/11/a01a4396-7e68-11e7-9026-4a0a64977c92_story.html
- Detsch, J. (2021, October 14). *Biden Team Fears North Korean Sanctions Aren't Biting: Foreign Policy*. Retrieved from Foreign Policy Web site: <https://foreignpolicy.com/2021/10/01/biden-north-korea-nuclear-weapons-kim-jong-un-sanctions/>
- Deutsche Welle. (2009, April 14). *No more talks: Deutsche Welle*. Retrieved from Deutsche Welle Web site: <https://www.dw.com/en/north-korea-pulls-out-of-disarmament-talks-after-un-condemnation/a-4174542>
- Doshi, R. (2021). *The Long Game: China's Grand Strategy to Displace American Order*. New York: Oxford University Press.
- Erickson, A. (2013, April 14). *A timeline of North Korea's five nuclear tests and how the U.S. has responded: The Washington Post*. Retrieved from The Washington Post Web site: <https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2017/04/14/a-timeline-of-north-koreas-five-nuclear-tests-and-how-the-u-s-has-responded/>

- Feng, Z., & Beauchamp-Mustafaga, N. (2015). North Korea's Security Implications for China. In C. P. Freeman, *China and North Korea: Strategic and Policy Perspectives from a Changing China* (p. 46). New York: Palgrave Macmillan.
- Garrett, B., & Glaser, B. (1995). Looking across the Yalu: Chinese Assessments of North Korea. *Asian Survey* 35(6), 528–545.
- Gearan, A. (2017, April 28). *U.S. wants more U.N. sanctions over North Korea's nuclear arms, warns time is short: The Washington Post*. Retrieved from The Washington Post Web site: https://www.washingtonpost.com/world/national-security/in-an-apparent-shift-tillerson-says-us-willing-to-hold-direct-talks-with-n-korea/2017/04/27/a2093a0e-2bac-11e7-b605-33413c691853_story.html?hpid=hp_hp-top-table-main_usnkorea-955pm%3Ahomepage%2Fstory
- Glaser, B. S. (2016, January 6). China's Reaction to North Korea's Nuclear Test. (C. f. Studies, Interviewer) Global Times. (2022, April 24). *Chinese FM elaborates on China-proposed Global Security Initiative, stresses nation will always be the backbone of guarding world peace*. Retrieved from Global Times Web site: <https://www.globaltimes.cn/page/202204/1260149.shtml>
- Goldstein, A. (2005). *Rising to the Challenge: China's Grand Strategy and International Security*. Stanford: Stanford University Press.
- Guoliang, G. (2015). China's Policy Towards DPRK's Nuclear and Missile Programs. In C. P. Freeman, *China and North Korea: Strategic and Policy Perspectives from a Changing China* (p. 170). New York: Palgrave Macmillan.
- Haas, B. (2018, May 8). *Kim Jong-un meets Xi Jinping in second surprise visit to China: The Guardian*. Retrieved from The Guardian Web site: <https://www.theguardian.com/world/2018/may/08/kim-jong-un-meets-xi-jinping-in-second-surprise-visit-to-china>
- Hairen, Z. (2003). Hu Jintao writes to Kim Jong-il to open door to six-party talks. *Hong Kong Economic Journal*. Retrieved from Nautilus Institute for Security and Sustainability Web site.
- Harding, H. (1990, December 1). *The Impact of Tiananmen on China's Foreign Policy: The National Bureau of Asian Research*. Retrieved from The National Bureau of Asian Research Web site: <https://www.nbr.org/publication/the-impact-of-tiananmen-on-chinas-foreign-policy/>
- Hexiu, Q. (2015). an attempt at analyzing the Cross and triangular Divided relations among the Four regimes in China and the Korean peninsula after World War II. In C. P. Freeman, *China and North Korea: Strategic and Policy Perspectives from a Changing China* (p. 151). New York: Palgrave Macmillan Press.
- Jae-Bong, L. (2009). US Deployment of Nuclear Weapons in 1950s South Korea & North Korea's Nuclear Development: Towards Denuclearization of Korean Peninsula. *The Asia-Pacific Journal*, 12.

- Jong, P. (2017, February 23). *Neighboring Country's Mean Behavior: KCNA*. Retrieved from KCNA Web site: <https://kcnawatch.org/newstream/269994/neighboring-countrys-mean-behavior-written-by-jong-phil/>
- Kim, H.-K. (2020). *China's Evolving North Korea Policy*. Institute for Security and Development Policy.
- Kim, S.-H. (2020, December 8). *NK, China no longer hiding illicit trade in coal: report: The Korean Herald*. Retrieved from The Korean Herald Web site: <http://www.koreaherald.com/view.php?ud=20201208000842>
- Kuo, L. (2018, June 19). *Kim Jong-un meets Xi Jinping for third time: The Guardian*. Retrieved from The Guardian Web site: <https://www.theguardian.com/world/2018/jun/19/kim-jong-un-meets-xi-jinping-for-third-time>
- Kurlantzick, J. (2006, June). *China's Charm: Implications of Chinese Soft Power*. Retrieved from Carnegie Endowment for International Peace Web site: https://carnegieendowment.org/files/PB_47_FINAL.pdf
- Li, Z. (2018, June 19). *Xi Jinping Holds Talks with Kim Jong Un, Chairman of the Workers' Party of Korea: Xinhua News Agency*. Retrieved from The Paper.cn Web site: https://www.thepaper.cn/newsDetail_forward_2204887
- Lynch, C. (2021, October 15). *It Was Like Having the Chinese Government in the Room With Us': Foreign Policy*. Retrieved from Foreign Policy Web site: <https://foreignpolicy.com/2021/10/15/china-sanctions-north-korea-hardball/>
- Mackenzie, J., & Usher, B. P. (2023, April 27). *US and South Korea agree key nuclear weapons deal: The BBC*. Retrieved from The BBC Web site: <https://www.bbc.com/news/world-us-canada-65404805>
- Mansourov, A. Y. (1995). The origins, evolution, and current politics of the North Korean nuclear program. *The Nonproliferation Review*, 25-38.
- Martin, B. K. (2004). *Under the Loving Care of the Fatherly Leader*. New York: St. Martin's Press.
- McGregor, M. (2017, November). *China and South Korea Come to Terms on THAAD Dispute: The Observer*. Retrieved from The Observer Web site: <https://theobserver-qiaa.org/china-and-south-korea-come-to-terms-on-thaad-dispute>
- Ministry of Foreign Affairs of China. (2009, June 13). *Statement on the Adoption of the UN Security Council Resolution 1874 on the DPRK Nuclear Test*. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of China: http://gd.china-embassy.gov.cn/eng/fyrth/200906/t20090613_3498800.htm
- Ministry of Foreign Affairs of Republic of Korea. (1992, January 20). *Joint Declaration on The Denuclearization of The Korean Peninsula: Ministry of Foreign Affairs*. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of Republic of Korea Web site: https://www.mofa.go.kr/eng/brd/m_5476/view.do?seq=305870&srchFr=&srchTo=&srchWord=&srch

Tp=&multi_itm_seq=0&itm_seq_1=0&itm_seq_2=0&company_cd=&company_nm=&page=6&titleNm=

Ministry of Foreign Affairs of The People's Republic of China. (2013, May 5). *Liu Yunshan Meets with Choe Ryong Hae, Special Envoy of Kim Jong Un*. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of The People's Republic of China Web site:

https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/gjhdq_665435/2675_665437/2701_663406/2703_663410/201305/t20130528_511445.html

Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China. (2018, September 28). *Seize the Historic Opportunity for Peace on the Korean Peninsula*. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China Web site:

https://www.fmprc.gov.cn/eng/wjb_663304/wjzbz_663308/2461_663310/201809/t20180929_468694.html

Nakazawa, K. (2018, June 11). *Kim flies in for summit on Chinese plane, in victory for Xi: Nikkei Asia*.

Retrieved from Nikkei Asia Web site: <https://asia.nikkei.com/Editor-s-Picks/China-up-close/Kim-flies-in-for-summit-on-Chinese-plane-in-victory-for-Xi>

Nam, S. W. (2019). *North Korean Nuclear Weapon and Reunification of the Korean Peninsula*. Singapore: World Scientific Publishing.

National Security Council of Japan. (2022, December 16). *Ministry of Foreign Affairs of Japan: National Security Strategy of Japan*. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of Japan Web site:

https://www.mofa.go.jp/fp/nsp/page1we_000081.html

Nichols, M. (2019, December 17). *China, Russia propose lifting some U.N. sanctions on North Korea, U.S. says not the time: Reuters*. Retrieved from Reuters Web site: <https://www.reuters.com/article/us-northkorea-usa-un/china-russia-propose-lifting-of-some-u-n-sanctions-on-north-korea-idUSKBN1YK20W>

Niksch, L. A. (2003). *Issue Brief for Congress: North Korea's Nuclear Weapons Program*. Washington D.C.: Congressional Research Service.

Oberdorfer, D. (1991, 10 19). *U.S. DECIDES TO WITHDRAW A-WEAPONS FROM S. KOREA: The Washington Post*. Retrieved from The Washington Post Web site:

<https://www.washingtonpost.com/archive/politics/1991/10/19/us-decides-to-withdraw-a-weapons-from-s-korea/3759ee3f-e9bf-4944-bfdf-2f9ea727b546/>

Oberdorfer, D., & Carlin, R. (2014). *The Two Koreas*. New York: Basic Books.

O'Keeffe, K. (2021, September 15). *China Stymies Once-United U.N. Panel on North Korea Sanctions: The Wall Street Journal*. Retrieved from The Wall Street Journal Web site:

<https://www.wsj.com/articles/china-stymies-once-united-u-n-panel-on-north-korea-sanctions-11631714247>

- Park, K.-A. (2004). NORTH KOREA IN 2003: Pendulum Swing between Crisis and Diplomacy. *Asian Survey* 44, no. 1, 139-146.
- Peace, U. S. (2019). *China's Role in North Korea Nuclear and Peace Negotiations*. Washington DC: United States Institute of Peace.
- Radio Free Asia. (2019, December 17). *China, Russia Propose Lifting Sanctions on North Korea for Humanitarian Purposes at U.N. Security Council: Radio Free Asia*. Retrieved from Radio Free Asia Web site: <https://www.rfa.org/english/news/korea/nk-china-russia-unsc-draft-resolution-sanctions-12172019172522.html>
- Reuters. (2017, June 30). *Trump says strategic patience with North Korea over: Reuters*. Retrieved from Reuters Web site: <https://www.reuters.com/article/us-usa-southkorea-trump-idUSKBN19L2BV>
- Reuters. (2018, July 20). *Report: North Korea Economy Shrank Sharply in 2017: VOA*. Retrieved from VOA Web site: <https://www.voanews.com/a/report-north-korea-economy-shrank-sharply-2017/4490770.html>
- Rudd, K. (2021, December 9). *Why the Quad Alarms China: Asia Society*. Retrieved from Asia Society Web site: <https://asiasociety.org/magazine/article/why-quad-alarms-china>
- Sanger, D. E., & Shanker, T. (2003, March 5). *THREATS AND RESPONSES: NUCLEAR STANDOFF; U.S. Sending 2 Dozen Bombers In Easy Range of North Koreans: The New York Times*. Retrieved from The New York Times Web site: <https://www.nytimes.com/2003/03/05/world/threats-responses-nuclear-standoff-us-sending-2-dozen-bombers-easy-range-north.html>
- Shanker, T., & Hoge, W. (2006, October 11). *Rice Asserts U.S. Plans No Attack on North Korea: The New York Times*. Retrieved from The New York Times Web site: <https://www.nytimes.com/2006/10/11/washington/11diplo.html>
- Shen, D. (2006). North Korea's Strategic Significance to China. *China Security*, 19-35.
- Shesgreen, D., & Fritze, J. (2019, February 28). *North Korea contradicts Trump's account of negotiations. State Dept. official says NK is 'parsing words'*. Retrieved from USA Today Web site: <https://www.usatoday.com/story/news/world/2019/02/28/north-korea-official-contradicts-trumps-account-failed-negotiations-nuclear-sanctions-summit-vietnam/3016828002/>
- Shi, Y. (2018, March 9). Interview: "China is completely bypassed by the current process". (R. Le, Interviewer) Retrieved from <https://www.dw.com/zh/%E4%B8%93%E8%AE%BF%E4%B8%AD%E5%9B%BD%E5%AE%8C%E5%85%A8%E8%A2%AB%E7%9B%AE%E5%89%8D%E7%9A%84%E8%BF%9B%E7%A8%8B%E7%BB%95%E5%BC%80/a-42903597?&zhongwen=simp>
- SPN Seoul Pyongyang News. (2019, August 12). *North Korea-China Trade Trends and Implications in the First Half of 2019 (Inter-Korean Cooperation Office), Korea International Trade Association*. Retrieved from SPN Seoul Pyongyang News Web site: <http://www.spnews.co.kr/news/articleView.html?idxno=21504>

- Struck, D. (2003, February 28). *Observers See Rising Risk of U.S.-N. Korea Conflict: The Washington Post*. Retrieved from The Washington Post Web site:
<https://www.washingtonpost.com/archive/politics/2003/02/28/observers-see-rising-risk-of-us-n-korea-conflict/cfae34ea-2790-4125-956c-a4325d03352e/>
- Sun, Y. (2018, September 5). *The State of Play in Sino-DPRK Relations: 38 NORTH*. Retrieved from 38 NORTH Web site: <https://www.38north.org/2018/09/ysun090518/>
- test, C. s. (2013, February 12). *China summons North Korea ambassador over nuclear test: South China Morning Post*. Retrieved from South China Morning Post Web site:
<https://www.scmp.com/news/china/article/1148900/china-summons-n-korea-ambassador-firmly-opposes-blast>
- The National Committee on North Korea. (2012, April 15). *Kim Jong Un's Speech on Kim Il Sung Centennial: The National Committee on North Korea*. Retrieved from The National Committee on North Korea Web site:
<https://www.ncnk.org/sites/default/files/content/resources/publications/KJU%204-15-12%20Speech.pdf>
- The Observatory of Economic Complexity. (n.d.). *South Korea/China: The Observatory of Economic Complexity*. Retrieved from The Observatory of Economic Complexity Web site:
[https://oec.world/en/profile/bilateral-country/kor/partner/chn#:~:text=During%20the%20last%2026%20years%20the%20exports%20of%20China%20to,in%20total%20exports%20\(%24653B\).](https://oec.world/en/profile/bilateral-country/kor/partner/chn#:~:text=During%20the%20last%2026%20years%20the%20exports%20of%20China%20to,in%20total%20exports%20(%24653B).)
- The White house. (2019, February 28). *Remarks by President Trump in Press Conference / Hanoi, Vietnam: The White House*. Retrieved from The White House Web site:
<https://trumpwhitehouse.archives.gov/briefings-statements/remarks-president-trump-press-conference-hanoi-vietnam/>
- U.S. Department of State. (2004, November 13). *Interview on The Wall Street Journal Report With Maria Bartiromo: U.S. Department of State*. Retrieved from U.S. Department of State Web site:
<https://2001-2009.state.gov/secretary/former/powell/remarks/38165.htm>
- UN Security Council. (2009, June 12). *Security Council, Acting Unanimously, Condemns in Strongest Terms Democratic People's Republic of Korea Nuclear Test, Toughens Sanctions: United Nations*. Retrieved from United Nations Web site: <https://press.un.org/en/2009/sc9679.doc.htm>
- United Nations Security Council. (2006, October 14). *SECURITY COUNCIL CONDEMNS NUCLEAR TEST BY DEMOCRATIC PEOPLE'S REPUBLIC OF KOREA, UNANIMOUSLY ADOPTING RESOLUTION 1718: United Nations*. Retrieved from United nations Web site:
<https://press.un.org/en/2006/sc8853.doc.htm>
- United Nations Security Council. (2018, March 5). *United Nations Security Council*. Retrieved from http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/s_2018_171.pdf

- upgrade, C.-N. K. (2013, March 27). *China-North Korea railway links to undergo upgrade: Global Times*. Retrieved from Global Times Web site: <https://www.globaltimes.cn/page/201303/770938.shtml>
- US Department of State. (2005, September 19). *Joint Statement of the Fourth Round of the Six-Party Talks Beijing, September 19, 2005: Us Department of State*. Retrieved from US Department of State Web site: <https://2001-2009.state.gov/r/pa/prs/ps/2005/53490.htm>
- Walt, S. M. (1987). *The Origins of Alliances*. New York: Cornell University Press.
- Wang, Z. (2013, March 27). *China-North Korea railway links to undergo upgrade: Global Times*. Retrieved from Global Times Web site: <https://www.globaltimes.cn/page/201303/770938.shtml>
- Warrick, J. (2017, April 13). *Kim Jong Un's rockets are getting an important boost — from China: The Washington Post*. Retrieved from The Washington Post Web site: https://www.washingtonpost.com/world/national-security/kim-jong-uns-rockets-are-getting-an-important-boost--from-china/2017/04/12/4893b0be-1a43-11e7-bcc2-7d1a0973e7b2_story.html
- Watts, J. (2003, April 1). *China cuts oil supply to North Korea: The Guardian*. Retrieved from The Guardian Web site: <https://www.theguardian.com/world/2003/apr/01/northkorea.china>
- Woo, D. (2022). The Peaceful Origins of North Korea's Nuclear Programme in the Cold War Period, 1945-1965. *The Historical Journal*, 459-479.
- Wu, A. (2005). What China Whispers to North Korea. *THE WASHINGTON QUARTERLY*, 37.
- Wu, X. (2009). Chinese Perspectives on Building an East Asian Community in the Twenty-First Century. In M. Green, & B. Gill, *Asia's New Multilateralism: Cooperation, Competition, and the search for community* (p. 64). New York: Columbia University Press.
- Xi, J. (2022). *Full text of the report to the 20th National Congress of the Communist Party of China*. Beijing: Ministry of Foreign Affairs of People's Republic of China.
- Xinhua. (2014, May 28). *China-NK bridge begins: Global Times*. Retrieved from Global Times Web site: <https://www.globaltimes.cn/page/201405/862629.shtml>
- Xinhua. (2021, July 1). *Full Text: Speech by Xi Jinping at a ceremony marking the centenary of the CPC: Xinhuanet*. Retrieved from Xinhuanet Web site: http://www.xinhuanet.com/english/special/2021-07/01/c_1310038244.htm
- Yi, W. (2020, May 25). *State Councilor and Foreign Minister Wang Yi Meets the Press: Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China*. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China Web site: https://www.fmprc.gov.cn/eng/wjb_663304/wjbz_663308/2461_663310/202005/t20200525_468769.html
- Zhu, F., & Beauchamp-Mustafaga, N. (2015). North Korea's Security Implications for China. In K. P. Freeman, *China and North Korea: Strategic and Policy Perspectives from a Chinese Perspective* (p. 51). New York: Palgrave Macmillan Press.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Vakhtang Davitashvili

China's Policy Towards North Korea's Nuclear Programme

MA Programme in Diplomacy and International Politics

A thesis submitted for the degree of Master of Arts in Diplomacy and International
Politics

Supervisor: Tornike Turmanidze

Doctor of International Relations

Professor

Tbilisi

2023